


ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ପ୍ରକାଶକ
ମୁଦ୍ରକ



გეუაზნობელია გზანი უფლისენი

წიგნი გამოიცა
უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის, სოფიას
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
იცავ || ცოსკე-კურთხევით

ნიგნი გამოცემულია:

შემოქმედთა საქველმოქმედო საზოგადოება „მიმინო“-ს მიერ.
საზოგადოების დამაარსებელი: ვალიკო კაკაურიძე-მიმინო

პოეტ თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნის პატივსაცემად წიგნი
იწყება მისი ლექსებით, ოჯახის თანხმობით

ნიგნის სპონსორი:

მეცნატი	ედუარდ მალინოვსკი
რედაქტორი	მანანა გორგიშვილი
ტექ.რედაქტორი	ნინო როსტიაშვილი-ნერუ
ყდის დიზაინი	ვალიკო კაკაურიძე-მიმინო
დამკაპადონებელი	თამარ ტყაბლაძე

გამომცემლობა „პარნასი-პრინტი“

ეთირ არიან მორმოუნი

(წინათქმა)

გოლგოთის გზაზე მაცხოვარი მტარვალთ შოლტის ცემით და გინებით მიჰყავთ.

იესო ნაზარეველს ჯვარმა მხარი გადაუტყავა და არაქათგა-მოცლილს მუხლები ეკეცებოდა.

ყანიდან მიწის მუშა სიმონ კვირინელი მოდიოდა.

რომაელს შეევეძრა, დასვენებული ვარ, მე წამოვალებინებო.

იესომ საშველად მოსულს მადლიერი თვალი მიანათა.

- არა, სიმონ, ჩემი ჯვარი მე უნდა ვზიდო ბოლომდე.

მართლაც ბოლომდე ზიდა.

გოლგოთასთან წამით შედგა და თანამგრძნობელთ მიმართა:

- ნუ სტირთ ჩემზედა, არამედ თავსა თქვენსა სტიროდეთ!

ამ ბოლო საათებითაც იესომ მის კვალზე მოსულთ უკვდავი მაგალითი მოგვცა; ჯერ ერთი, შენი ჯვარი შენ უნდა იტვირთო, ხოლო „თავსა თქვენსა სტიროდეთ“, აუცილებლად მოთქმავაებას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ თქვენს თავზე, თქვენს სულზე იფიქრეთ და თქვენს საქციელს ჩაუღრმავდითო.

ძვირფასო მკითხველო!

თხუთმეტ საუკუნეზე მეტია საქართველოში ქრისტეს სახელით პირჯვარს ვიწერთ, ქრისტეს სინმინდეზე ვლოცულობთ, სანთელს ვანთებთ და ზარებს ვარისხებთ.

მხატვრული სიტყვის ოსტატები მონამეთა ცხოვრებაზე ღალადებენ და გალობა-ლექს აღავლენენ.

და მაინც, ისეთი წიგნი, როგორიც ახლა წინ გიდევს, ჩვენში აქამდე არ გამოცემულა.

საპატრიარქოს კურთხევით და შემოქმედთა საქველმოქმედო საზოგადოება „მიმინოს“ (ვალიკო კაკაურიძე) სახსრებით დასტამბულ ამ წიგნს ჰქვია: „შეუცნობელია გზანი უფლისანი“.

რა კეთილშობილური საქციელია „მიმინოს“ მესვეურთა მხრიდან თანამედროვე პოეტთა ნაღვანში მოიძიო ჩვენთა სულიერ სიწმინდეთა ხოტბა-შესხმით შექმნილი ლირიკული ლექსები და მიაწოდო მკითხველს.

რაც დრო გავა, მით მეტი ფასი დაედება ამ კრებულს, მით უფრო წარმატებით შეასრულებს იგი თავის მისიას, რათა უფრო მეტად და წარმატებით შევიცნოთ გზანი ჭეშმარიტებისანი.

მაშ, მადლობა შევწიროთ უფალს, რომ მისი ჩაგონებით განახორციელა „მიმინომ“ ეს საშური საქმე...

გადავიწეროთ პირჯვარი და შევუდგეთ კითხვას.

გარწმუნებთ, იგი დიდ სულიერ კმაყოფილებას მოგანიჭებთ.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი
რუსთაველის პრემიის ლაურეატი
8.02.2024წ.

სანოღი

შენ სანთელი ხარ უფლის ხმობილი,
ო, პანაწინა თაფლის სანთელო.

გყოლია მრევლი ხელაპყრობილი -
შენ შეგინახავს ეს საქართველო.

ჩამოგიქროლებს სული ტაძართა
და ეგ სიწმინდე გასაკვირია.
ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,
ბევრჯერ დალვრილხარ და გიტირია.

შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,
მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძვნია.
შენ საქართველოს ჭირისუფალო,
ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია...

ჩამო საქართველო, მართლმადიდებელო!
ილია მეორეს

მუდამ სიყვარულის განმადიდებელო,
ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო,
ოშკო და ხახულო, ცრემლით ნაფერებო,
ძუძუს მოწყვეტილო, ძმებო, ქართველებო,
ზეცად აზიდულო ჯვარო და სამებავ,
გვეყო ჩვენთა შვილთა უღმერთო წამება,
მუდამ სათნოების განმადიდებელო,
აღსდექ, საქართველოვ, მართლმადიდებელო!

ო, წმინდა გიორგის ხატებავ ნათელო,
სანთლად დანთებულო მომავლის ქართველო!
ესე, სიყვარულის განმადიდებელო –
ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!

ო, დედოფალო!

გარეთ ქარია...
ხორშაკნი ჰქონიან,
ევლება სენაკს ნათლისლებანი,
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა,
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!
... ვიწრო სენაკში შუქად კიაფობ,
ამაყობ კიდეც გულის წიაღში.
ფეხმორთხმით ზის და
მოსთქვამს იაკობ:
- ტანჯვას მოგაწევს ხვალ პიტიახში!..
ო, დედოფალო!
უარყავ რწმენა -
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს საჭანა,
... და წუთით, თითქოს, დაგეხშო სმენა...
უბრძანებ სხეულს მეტის ატანას...
ო, დედოფალო!
იცვალენ მხარი,
თორო - დაწყლულდნენ წყლულზე წყლულები.
დასთმე სასახლე და შმაგი ქმარი,
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...
გარეთ ქარია...
ხორშაკნი ქრიან,
ევლება სენაკს ნათლისლებანი,
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა
თუ ცოდვილ შვილთა შეცოდებანი?!

ღმერთო ქლიურო!

ღმერთო ძლიერო, შენ ხომ ყველგან ხარ,
ყველას უსმენ და ყველას მფარველობ,
გულში იმედის სხივად გვინთიხარ,
შემოგავედრებთ ჩვენს საქართველოს.
ათასი ჭირი გამოვიარეთ,
ასჯერ გაგვაკრეს ჯვარზე შენსავით,
მაგრამ გადავრჩით, რადგან გიწამეთ,
შენი ხატება გვედგა მზესავით.
ჩვენ ახლაც ვდგავართ აღმართის ძირში,
ბოროტად გვიცქერს ბილწი სატანა,
შეგვაძლებინე სიმტკიცე ჭირში
და გოლგოთაზე ჯვარის ატანა.
ღმერთო! უფალო! შენ ხომ ყველგან ხარ!
ყველა გიყვარს და ყველას მფარველობ!
ჩემშიც ხმიანობ ისე ნარნარად
და სიყვარულშიც ისევ პირველობ.
შეჰქმენ სამყარო, დარი სამოთხის,
აამდერე და აამზიანე,
უნდა გვეთესა სიკეთე მხოლოდ,
მოვფერებოდით დღეებს მზიანებს...
მაგრამ...ო, მაგრამ შევცდით, უფალო!
ვერ დავინახეთ სინათლე შენი!
გვძლია ბოროტმა და უკეთურმა,
გულს მოეხვია, როგორაც სენი.
და ახლა ვთრთივართ ლოდინში შიშის,
ხელის კანკალით დავეძებთ სანთელს,
იქნებ, როგორმე დავძლიოთ ცოდვა
და შეგეგებოთ სულიერ ნათელს.

ეიგანა აღიშვილი

ჩვენი იმადი

(საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და
უნეტარესს ილია მეორეს)

ჩვენ მოგვივლინა ღმერთმა ილია, ერთობ დიდია მისი კურთხევა...
ორმოცი წელი დღეს მიიღოა, რომ იგრძნო ლოცვა ყველა კუთხემა.
რწმენადაკარგულთ მისცა სანთელი, როს ააფრინა ცისკენ „სამება„,
და ააცდინა ერი ქართველი, მაცხოვარივით წვას და წამებას.
ქართველი ხალხი ღმერთს აზირა და აუზდინა დიდი ოცნება
მრევლს მოურჩინა ყველა იარა, ლოცვით მოჰყონა მთა და ბორცვები.
უდვოთოდ დარჩენილ ახალ თაობას ისევ არგუნა მზე და მირონი,
მერე შთაბერა გამბედაობა, საქმე დიადი და საგმირონი.
...ცად მიიწევენ ახლა ტაძრები, მონასტრები და ეკლესიები,
ცა - ვარსკვლავებით კვლავ იხანძრება, დედამიწა კი ხარობს იებით
და ყველგან ტკბილი ისმის გალობა, საამური და ანგელოზური,
ეს სიხარული მან გვიწყალობა, ცად ასული და... ცით ჩამოსული.
ჩვენი ვარსკვლავი ცაში ციმციმებს... მეცხრე ცის თაღზე
რწმენით მივედით,
და, ვითარც უფალს, მას შევციცინებთ, რადგან ის არის ჩვენი იმედი.

საქართველოს პატიიარები

ღმერთმა გვიბოძა მხსნელად ილია, კურთხევა მისცა ერთობ
დიდია,
ერის რწმენაში გაძლიერებით შეექმნა ზეცის წმინდა ხიდია.
როცა გამოჩნდა ცის კაბადონზე, ზენიტში იყო ურწმუნოება,
მძლავრმა სამებამ, ჩვენს გასაკვირად, მალე იხილა ნანატრი შვება,
ხალხი მოფხიზლდა, უმალ შეიგრძნო, სულიერებას მხსნელი
რომ ხვდება.

მშობელთა ვალი მომავლის ყოლის, თანდათან გახდა დიდი ოცნება.
სამი და მეტი ბავშვის მონათვლა უწმინდესისგან ყოველთვის
ხდება.

სტიმულს დებულობს დემოგრაფია. ხალხის რესურსი ქვეყანას
რჩება.

ყველგან შეიქმნა უფლის სახლები-ეკლესიები და მონასტრები,
აღსდგა სიძველის ბევრი ნიმუში სალოცავი თუ დიდი ტაძრები.
რუსეთ-ოსეთის საზღვართან აშენდა დიდი კომპლექსი,
ტაძრები ანგელოზების თორმეტს გასცდება! - არ ვცდებით,
წმინდა მამების ლოცვებით, ხევს გადავკეტავთ ლოდებით...
...ჩვენს სამყაროს მოევლინა, ვებერთელა კაცი ბრძენი,
შეასრულა უფლის თხოვნა, გამოილო მხსნელი ხელი.

გზა უფლისკენ

გზა ავირჩიოთ უფლისკენ, ვადიდოთ ქვეყნის გამჩენი,
გვწამდეს მოძღვრება სამყაროს შექმნის, წუთისოფელში თუ
ვართ დამრჩენი.
დავძლიოთ ეშმაკთან ბრძოლა, ვიყოთ მორწმუნე ღმერთისა,
სამყაროს კუთხე-კუნჭულის მიდგომა რაკი გვეღირსა.
ყველა წმინდანმა, სწავლულთა მოდგმამ ქვეყანას უთხრა თავის
სათქმელი,
ღმერთია ჭეშმარიტება და გახლავთ ქვეყნის გამჩენი.
ღმერთია მარადიული ქრისტე სიკეთის დამცველი,
ჭეშმარიტების მაძიებელ ხალხს მუდმივად ენთოს წმინდა სანთელი.

უფლის ვინავი!

გაზაფხული გულს მიხარებს,
მიყვარს ტყეთა სიმწვანე,
ღმერთი მიყვარს უფრო მეტად,
უფლის უფრო ვიწამე.

მზის ამოსვლას ველოდები,
ყოველ დილა-ცისმარე,
დარდი უკვე, რაც კი შემხვდა
ღმერთი ამას მიკმარებს.

მიყვარს მერცხლის ჭიკ-ჭიკი და
გულში ზიხარ მთა-ბარო,
არასოდეს გილალატებ,
დარდი უნდა მაკმარო.

ღმერთო, მომეც ლოცვის ძალა,
ამცდეს ღრუბლის ფარაო,
არ დატბოროს წვიმამ რეშით,
ჩემი პურის ყანაო!

სამყარო შექმნა უფალმა!

სამყარო შექმნა უფალმა,
ჩვენ დავიბადეთ მის ნებით,
მზეს რომ ვუყურებთ ყოველდღე
და სიყვარულით ვივსებით,
ეს წყალობაა უფლის,
იცოდე ადამიანი,
ლუკა გაუყავ მოყვასს და
სითბო არ დაუგვიანო!

უფალს დიდება!

როცა ღრუბელი გაიფანტება,
მზე გამოჩნდება ცის კაბადონზე
ქარი კი სადლაც გადიკარგება,
მზე ამოაშრობს ომის ნაკვალევს,
ე, მაშინ დავწერ, ისევ დავწერ,
უამრავ ლექსს და ისევ უფალზე,
ისევე დავწერ... ისევ ვიმღერებ,
უფლის დიდებას მშვიდობის ხმაზე!

სვეტიცხოველი

ავაშენეთ, დავამშვენეთ ტაძრები,
გაიშალა, მოეფინა მღლოცველი.
სვეტიცხოველს დასტრიალებს აზრები,
ყველა ტაძრის ნათლის ერთად მომცველი.
დიადი და ასე მადლით მოსილი,
ჩემი სულის სიამაყის ნაწილი,
დალოცვილი უფლის კვართის ადგილი.
უსაზღვროდ ვარ სიყვარულით აღვსილი.
ჩემი ქვეყნის სიძლიერის სიმბოლო,
სიკეთის გზა ყველასათვის გახსნილი.
სვეტიცხოვლის სიდიადე — სამხილი,
უფლის ცამდე მისავალი მანძილი!
არ ყოფილა ეს გზა ასე იოლი,
არ ყოფილა ეს გზა ასე ადვილი!

მოიდა პარპარეს!

ჩვენ ყოველ დამე ერთმანეთის პირისპირ ვრჩებით,
ლოცვებს ჩუმ-ჩუმად ვიმეორებ კედლის ხატებთან,
მე და სიჩუმე გამუდმებით თავს დაგფარფატებთ,
გულწრფელი ცრემლი დამდგომია ხშირად თავდებად.
მივარღვევ ჯებირს და გზას ვიკვლევ შენამდე ფიქრით,
ნმინდა ბარბარე, მოგვირჩინე ნასუსხი სული.
შეგავედრებდი ისევ შვილებს - დედის თეთრ მტრედებს,
რომ დაიფარო სიყვარულის ხელთუქმნელ სხივით.

ՅԵԶԵՏՆ

ԹՎԵՔԵՏԱ - ԾԵԺԱ ՍԱՔՅԱՐԴՎԵԼՈՍ ՑՈՒՂՈ,
ՔԻԱԺԱՐԴԱ ԾՔԵՑԻ ՑԱՍԱՎՈՒԹ ԵՄԻՆԴԱ,
ՍԱԼՈ ԿԼՋՈՒԴԱՆ ԳԱՋՄՈՒՄՊՈՒՐԵ ՑԵՎԱՐՈ
ՐԵՄԵԲՈՍԱ ԾԱ ՍԱԿՎԴԱՎԵԾՈՍ ԵՆԻՇՆԱԾ.
ՍՎԵԳԻՈՎԵԽՈՎԼՈՍ ՄԱՋԼՄՈՍՈԼՈ ԿՎԱՐԴՈ
ՆԱՏԼՈՒԹ ԱՎԵՑՈՍ ՔԻԱԺՐՈՍ ԿՎԵԼԱ ՍԱՐԿՄԵԼՍ...
ԺՐՈՍՑՒԵՍ ՑԵՎԱՐՈ ԾԱ ՄՇՄԵԼՈ ՄԻՆԱ
ԾԵԺԱՍԱՎՈՒԹ ԵՇՈՒՑԵԾԱ ՔԱՐԴՎԵԼՍ!..

ՍԱԺՎԱՑՈՍ ՖԱԺԱՐՈ

ԿԵԼՄՈՂԵՐԵԾՈՒԹ ԾԳԱՍ ՍՈՒՋԼՈՍ ՍԱԽԼՈ,
ՏՈՐՄԵՑՈ ՍԱՐԿՄԼՈՒԹ ՑԵՎԱՍ ԳԱՍՎԵՐՈՍ...
ՑԻԵՍ ԵՇՐԵՋԾՈԱՆ ՔԻԱԺՐՈՍ ԿԵՇԼԵԾՈ,
ՐՈՆ ԸՆԿՇՈՒՆՈՒԵՆ ԵՄԻՆԴԱ ՍԱՆԴԼԵԾՈ...
Այ ՍՄԱԼՈ ԵՄԻՆԴՈՍ ՕԼՎՐԵԾԱ ՄԱՋԼՈ,
ՍԱՄԵԾԱ ԱՐՈՍ ԳԱՆԾՈ ՐԻԵՇԼՈ,
ՔԻԱԺԱՐՈ ԱՐՈՍ ԵՐՈՍ ՍՈՆՄԻՆԴԵ
ԾԱ ԺՐՈՍՑՒ ԸՄԵՐԴՈՍ ԵՄԻՆԴԱ ՍԵԵՇԼՈ!..

იასოს დაპრუნება

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იქსო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...
დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი ნისლებში ელავს ბეთლემი,
როგორც სამყაროს გადასახედი...
გადაჰკრავს რიურაუს ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს
თავის ღალატი თვითონვე ზარავს...
მიდის იქსო და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის გუგუნი ზარის, -
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ...
ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იქსო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

უმიმდესო და უთარასო!

განსაცდელის ჟამს თქვენ გამახსენდით
და სასოებით გული ამევსო;
თქვენ და თქვენს სამწყსოს გფარავდეთ ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
ჩვენ ხშირად ცოდვებს ვიმრავლებთ ჩვენთვის,
ჩვენვე ვიძედებთ დღეებს მწარესო;
ძე შეცდომილთაც გვფარავდეს ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
გულში უფალი გვისურვე მეტი,
რომ რწმენით სული ხმლისებრ ავლესოთ;
ღვთის გზაზე მდგომთაც გვფარავდეს ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..
თქვენი ლოცვები მაღლა ცას ერთვის,
დაბლა-ღვთისმშობლის წილხვედრ მხარესო;
თქვენ და თქვენს სამწყსოს გფარავდეთ ღმერთი,
უწმინდესო და უნეტარესო!..

თართა ფრასკაზე

ზეცისკენ შუქის ჩქერად მაღლდება,
მიუკარები ბნელი ლამისთვის,
ფრესკების სუნთქვით სავსე თაღები
ქაშუეთის და მამადავითის...
შენც ხომ იქითკენ მიგიხარია,
ჩუმად იცხოვრო და იარსებო
და კიდევ შეხვდე დედა მარიამს,
შენ, მაცხოვარო, წმინდა იესო...
შენ, ვისაც ქვეყნად, თუნდაც მცირედი
არ გაქვს სამკვიდრო შესაფერისი,
კვლავაც ლალატით და დამცირებით,
ეკლიან გზებით გიხმობს მერმისი...
უკან მოგანევდა მაშინ მრავალი,
გეთსემანიდან როცა დაეშვი,
რა იქნა შენი კეთილი მრევლი?
ჯვარზე გაკრული მიმზერ კაეშნით...
ან ცათა შინა ვინ მოისურვა,
რომ ამ ქალაქის ბუღალტი გეცხოვრა,
შენ, შორეული სივრცის მოსურნეს
და მზის სხივივით წმინდა მაცხოვარს...
გახსოვს პასექის მწარე დღეობა,
ის დროც, მხრებზე რომ ჯვარი გეკიდა
და მიჩვეული კედლის ტყვეობას,
დაღონებული მიმზერ ფრესკიდან...

მოპა

ჩემს სარკმელთან მოფრენილმა ანგელოზმა
მაცხოვარის დაბადება მახარა....
ტკბილხმოვანი ბულბულივით იგალობა,
სიხარულმა ძილი აღარ მაცალა...
ცას ვარსკვლავი ამობრწყინდა უცნაური,
მისი სხივით მიწის გულიც განათდა,
ჩვილ იესოს პირს ღიმილი დასთამაშებს---
დაიბადა... ეწამა და ამაღლდა...
ღვთისმშობელი ილიმება მზიურ ბაგით,
იმედის რტო ჰყვავის დღეს მის ხელებში,
ანგელოზმა იგალობა ჩემს სარკმელთან
და მახარა უფლის შობა ბეთლემში...

ამაღლამ მოპა

ამაღლამ შობის ღამეა, დაიბადება უფალი,
იესო ქრისტეს დაარქმევს მას ზეცის ხელისუფალი...
მამა ღმერთის ძე იშვება, წყალობა მოვა ზევიდან,
სასწაულები მოხდება, ღვინოს დაატკბობს ქვევრისას,
სულ სიტკბოს ჩამოგვირიგებს - ეს ღამე თაფლივით ტკბილი,
სულს წამლად მოეფინება ჩვილი იესოს ღიმილი....
ამაღლამ შობის ღამეა, უფალი მოგვევლინება,
სამყარო ფერებს შეიცვლის და სასწაულიც მოხდება...

ՑՐՑԱՏ

Ժոბն լամբա, մոճու սպալո,
մոճու դա մոայվս սինատլե յայրագ,
յայրա սարյամլութան մուսհանս սանտելո,
սպալու գուցեն օտյմեն յայրան...
մոայվս սոյետը լատուսմշոնձու կալտաս,
մոնամ մուսհան նատլու մանգուա,
մոճու սպալո, նյայրագ յայրա,
յարս անյալոնթա յարս արդյունա...
ժոբն յարսյազլազմաց յամոանատա,
այզսու ծագա սինատլու սեյզուտ,
գածագեծյալխար, սպալո, հայրանտաս,
ժենս ելլեծն գցաս լմերտամք ենքո.
գուցեն ժենդա! --- ամեռած սանտելո --
ալմոգեծյալու քյորութան տմամք,
գուցեն ժենդա! --- մեց զոմեռորյեն,
ագու յս լուցա համութան ցամք...

თამარ გევას

საქართველოს ჰყავდა მეფე ქალი,
მის ეპოქას ერქვა ოქროს ხანა.
ტაძარს ჩუმად მოსდებოდა ალი,
შრიალებდა თავთუხების ყანა.
საქართველოს ედგა ოქროს ხანა,
ჰყავდა მეფე, მზესთან შესადარი.
გერქვას ქალი ცოტა არის განა?
იყო მეფე ვარსკვლავების დარი.
ახლა შენს ხატს ათბობს სანთლის ალი,
ტაძარს ირგვლივ შარავანდი ამკობს.
მატიანემ შეგვინახა ქალი,
ქალს, რომელსაც თავს გვირგვინი ამკობს.

დავით გარეჯი საქართველოა

დ-ავით გარეჯი მესიზმრა წუხელ,
ა-მაყად იდგა, შვენოდა ჯვარი,
ვ-ელზე ჰყვაოდნენ ყაყაჩოები,
ი-მედებს ისევ სჭარბობდა ჯავრი.
თ-ავს იწონებდა უდაბნო მშვიდი,
გ-ული მღეროდა სევდიან ჰანგებს,
ა-რ მშორდებოდა სამშობლოს დარდი,
რ-ომელსაც ჩემი სული განაგებს.
ე-რის და ბერის - უხმობდა ყველას
ჯ-ამს, ივსებოდა ქვევრიდან ღვინო,
ი-ესოს ერთხმად შევთხოვდით შველას,
ს-ანთლებს ვუნთებდით ხატებთან ნინოს,
ა-მქვეყნიური რეკდნენ ზარები,
ქ-არტეხილები ფანტავდნენ რულებს,
ა-მ წუთისოფლის ეკალ-ბარდებით,
რ-ატომ და რისთვის ვიკოდავთ გულებს?!
თ-ვალს ვერ ვაცლიდი ამ სილამაზეს,
ვ-ნატრობდი გულში, ბევრჯერ ვიხილო,
ე-რთხელაც მივალ ალდგომის ტაძრად,
ლ-ავრის კარებთან ვნახავ ღილილოს.
ო-ლონდაც გვქონდეს სამშობლო მშვიდი,
ა-ი, ვედრება საუფლო, დიდი.

ჩრდილო კავკასიაში ქართულ ფაქტები

ჩერქეზთა მიწას ისევ ახსოვს ქრისტეს ღიდება,
ქართულად ლოცვა და აღდგომა, ღვთის განდიდება,
შუანის ფრესკებს ისევ ლოკავს მზის ათინათი,
სენტის კარიბჭეს ისევ ატყვია სანთლის ნაღვენთი.

დვალეთის მიწას კვლავ დარაჯობს თლის ეკლესია,
წმინდა გიორგის სამლოცველო ნარძუარი,
აგერ ღვთაება, ქართულია ხუცაუ-ძუარი,
ძლევის ჯვარი და ზროგოს ხოზიტა მად-მაირამი

ინგუშთა მიწას „ტყობა ერდი“ ისევ მადლს აფრქვევს,
ალბიერდში მდუმარედ რეკენ უფლის ზარები,
გალ-ერდის ტაძარს ისევ ითქვა ლოცვა ქართულად,
ნუზალეს ხატსაც გაულია რწმენის კარები.

ქართველთა კვალი ამ სამყაროს მადლით ატყვია,
იმედის სხივი საკურთხეველს სანთლად ანთია,
ყოველი ფრესკა, მადლმოსილი უფლის მანტია,
ნათელსანთლად, ქართველურად მარად მწათია.

ძველ რუქიდან ნაღვლით მიმზერს
აფხაზეთი და მიწა მაჩაბლის,
ბანა და ოშკი, ტაო-კლარჯეთი,
ჰერეთის მიწა და სანახები ლორე-ტაშირის.

წმინდა დედოფალს დიად დინარას,
ხმალშემართული რომ სჩანს ფრესკაზე,
ალბათ სიწითლემ გადაუარა,
კლიტე რომ ნახა ქურმუხის კარზე.

ხუჯაბს არ ისმის წმინდა გალობა,
ლექართის ფრესკაც დადუმებულა,
გიშის ემპაზში არ ტარდება წმინდა ნათლობა,
ძელი ცხოველში ამბიონი გაუქმებულა.

სედვას სევდის შემოუსხავს ხავსის მანტია,
ძელ ჭეშმარიტში ნატვრის სხივი ვეღარ კიაფობს,
ქობერის ტაძარს მადლი მიწას მოუფანტია,
მამრუხის “უცხო„ უზნებით ისევ იაფობს.

ეგ არაფერი... ეგ არაფერი...
და უფლის ნებით, და უფლის მადლით,
უფლის ტრაპეზზე ქართული ღვინით
კვლავ შეივსება წმინდა გრაალი!

ცის გზა...

ქეთევან დედოფალს

იცოდა, შირაზში რაც ელოდა...

იცოდა, რადგან დედამ კი არა, დრომ -

ქართულმა უკვდავმა სულმა იმშობიარა

ქეთევან დედოფალი!

შირაზში არა, -

დაბადებამდე ეწვოდა დედა-დედოფალს

სანთელ - თითებიც... მკერდიც! ფრჩხილებიც! თმაც!

იცოდა... იცოდა... იცოდააა... მაინც წავიდა!

ქართული სისხლის მდინარე და

მდუმარე მთები მიაცილებდნენ

ზე - ყანის გვირგვინოსან დედოფალს...

მხარს უმშვენებდნენ

უწვერული უფლისწულები - უფლის კრავები!

მიდიოდა... უკვე იწვოდა...

ცეცხლნაკიდებული თითებით უვარცხნიდა ქოჩორს

ალექსანდრეს და ლევანს... ლოცულობდა...

მზაკვართა გეგმას უმაღავდა შენირულ ბიჭებს -

სიმამაცეს ლოცვით აჩვევდა...

სამშობლოში დატოვებული გული,

ქართველთა რწმენის მტკიცე კედელი,

შვილიშვილების ყავარჯნობა ამხნევებდა,

აძლიერებდა, აკლდექალებდა!...

შვილიშვილების უბედურებამ და

პატივაყრილი სამშობლოს სევდამ -

მოჰკვეთა მკერდი!

თავზე ჩამოამხო გავარვარებული რვალი!
დაუგლივა სული და სხეული,
თმა და ფრჩხილები!...
ეშაფოტზე უკვე
დედოფლის სულგაყრილი სხეული იდგა -
საქართველოსავით
ათასგზის დანაწევრებულ - დასახიჩრებული,
მაგრამ ვერდამონებული!
ვერდაჩილი!
რწმენაშეურყეველი!
ზეციური საქართველოდან
დაუბრუნდა სამშობლოს
ქრისტეს მხევალი -
წმინდა ქეთევან დედოფალი!
იცოდა... ხსნის...
ზეცის გზა...
იცოდა!

„Ճամասեառքա“ ՅԵԱՅ..

Սպալո, մոմութեզ,
Սատյմելս զեր մովլեզ ծնյարոտ,
Շեն յասարուլո միջ եար,
Մյ - յասակելո նամո.
„Ճամասեառքա“ յնաեց
Գառպեծուլմա մյութագ,
Սուլ մոնագրեաս յամեցը
Ոմ, սալուրազտա, նեգրար!
Տոնիմրագ զոյազո, ալքատ,
Ոյնեծա, զոյազ լմերտան,
Ծեշրո զոմաեց „Ճամա!“
Տցալնոն սամոտեց մյուգա.
Զայց ծոլոյցէս, Շեքրուլու,
Գազուդո Բարներյէս ցնուսաս,
„յոնիցա“ - ս, „Շագերդո“ - ս, ոյ
„Շոյանո“ - ս մոնասդրուսաս.
Այ, սայոլուտա ցիանց
Կլուց զո, մոնամյուգ դյուսո,
Եմա յյուս ազուտ ցըսմուս:
„Սայարտզելո“ - ս, յըսո.
Րուցա „Կարուծչյ“ - ս Շեխալ,
Ցրեսյցէս ոխուազ բաժրուս,
„Սամնեցրուս“ - ս, նմոնճա ցոռորցս
Մուխլս րոմ մոյուդրյէ, սամցնուտ,
„Սարկոյնետս“ — ոյաց մոխզալ,
Մամատա մոնասդերժու —
Տոնմոնդյոյցէս եոլազ,

გვირაბად ნაკვეთ კლდეში.
სხვა მონასტრებსაც ნახავ,
მოძებნი მათ ამბრიონს,
„წიფლოვანი“, თუ „ანგი“,
„ქამერი“, „საბერიო“.
„კლდეკარი“, „წყაროსთავი“,
„ქართა“, „სათერქე“, „ტბეთი“,
„გეთსიმანია“, „მერე“,
„ბერმუხა“, თვით, „მზოვრეთი“!
ვერ მოთვლი სასწაულებს,
ვერ დაიოკებ ფიქრებს,
აქ, უფალია მწყემსი,
დარდს რწმენა გადაგივსებს.
მზერად გაჰყვები ფერებს,
ყვავილებს, გაშლილთ ლალად,
„ორთუბნ“-ის მონასტრისკენ
გზა ფიქრებს ჩაგილალვს.
„ბატეთი“-ს ტბასაც ნახავ
და „აბუხალო“-ს ჩანჩქერს
ქართლის გადაშლილ მინდვრებს
ქარი, აქედან ავსებთ.
დროს არ გაუფენ სევდას,
ნეტარ წუთებად მისთვლი,
გადმოაფარა ზედა,
ფრთა ანგელოზმა, „ყინწვის“-ს.
ამ ბერთუბანში თითო
აგურიც, გალავნისა
ნარსულს ინახავს, ამბობს
ცხოვრებასა ქართლისას.
უფალო, ძალსა შენდა
აქ, ვინ შეახოს ხელი?
შენ, სამყაროსა ზედა,
საქართველოა, ქვევით!

ხათუნა ბალახიშვილი

გიხაროდე!

გადმოვიდა უფლის მადლი, ბნელში წათლის სხივი გაკრთა,
ცა განათდა, მოკვდავთ სულის საიმედოდ და სალხენად,
კაცთა მოდმისგან ჯვარცმული ქრისტე აღდგა!
ყველა ილხენს ეკლესიის სამრეკლოდან ისმის რეკვა
წმინდა ზართა;
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი
კაცთა ცოდვის მოზიარე ქრისტე აღდგა!
მგალობელთა გუნდი გალობს, ზეცა ილხენს,
სიხარულის, სინანულის ყიუინა დგას;
გიხაროდენ!
ქვეყნად მხსნელად მოვლენილი
სიკვდილისა დამთრგუნველი
ქრისტე აღდგა!

ცმილეა ნინოს!

წმინდა ნინომ ზე ასწია ვაზის ჯვარი
და დაიმსხვრა უფლის ძალით კერპები!
შიშმა, ძრნოლამ აიტანა წარმართები
და მიწაზე დაიჩოქეს ვედრებით.
ლამე ლოცვით გაათია წმინდა ნინომ,
მან განკურნა სნეულები ღვთის ნებით,
უამრავი მონათლა ქრისტიანად
და უარყვეს წარმართებმა კერპები.

დღეს ხალხს თავი მოუყრია სალოცავში
და ხატის წინ იჩოქებენ ვეძრებით,
არ შეწყდება არასოდეს ამ მიწაზე,
წირვა-ლოცვა ღმერთის სადიდებელი.

30სწავლე დუმილი

ვისწავლე დუმილი არაფრის მაქნისი,
ამ გულში ჯანყობს და ბობოქრობს სიმართლე,
ჯვარზე გასაკრავი მართალი კაცისთვის,
მრავალჯერ დაიბანს ხელს ალბათ პილატე.
სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო,
ბოროტს სძლევს სიკეთე, ბნელს შეცვლის სინათლე,
ბევრჯერ აყოლილმა ამ ქვეყნის ცდუნებას,
უფალო, რამდენჯერ დაგთმე და გიწამე!
უფალო, შემოდი ჩემს გულში, გამათბე,
ამქვეყნად სავალი გზები გამინათე,
ზოგჯერ უმეცრებით რა მაღლა ავფრინდი,
მალე გონს მოვეგე, თავი დავიმდაბლე.
უფალო, შემინდე, თუ რამე შევცოდე;
ნებით, უნებლიერ, სიტყვით და საქმით,
ბევრისთვის ახლოა, ჩემთვის რა შორია
მანძილი მიწიდან ცამდის.

ნათლისლება

ნათლისლება დგებაო, რწმენა ისარკებაო---
სიტყვა უფლის ნათქვამი, არსად იკარგებაო!
წყალი იკურთხება და წამლად გვეპკურებაო,
ნათელს იღებს მონა და ახლად იბადებაო!..

ჯ ვ ა რ ც მ ა

რამდენჯერ უარგყვეს, გაგცეს და გაგყიდეს,
რამდენი ცოდვები ამითით თავს იდეს!
ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ, ჩამესმის ყვირილი,
რამდენი ტანჯვა და რამდენი ტკივილი...
ბრბო უმადურია, კარგს და ცუდს ვერ არჩევს,
უფლის მოწყალებას--- ვგონებ, რომ ვერ ამჩნევს...
ყველას აპატიე, ცოდვები შეუნდე,
დროა, უმადურო----
უფლის გზას შეუდგე!....

ოთხთა საოცრება

ტბეთი, ხანძთა, დოლისყანა, საოცრება ამისთანა,
წაუღიათ თურქებს ურცხვად, მიაჩნიათ რამეთ განა?
ჩვენს წინაპრებს შრომა-ჯაფით, ლოდი ლოდზე დაუდიათ,
ღმერთის ნებით ამ მინაზე-- გუმბათები აუგიათ!
გულში რაღაც ჩამწყდა თითქოს, ნანგრევების დანახვაზე,
კურცხალიც კი ჩამოგორდა, უცაბედად ჩუმად თვალზე....
ოთხთა ვნახე საოცრება, შეკიდული მაღალ მთაზე,
დამიბრუნეთ ჩემი მინა, აქ აღმომხდა მაღალ ხმაზე!
თუკი რამე სილამაზე არსებობს ამ ქვეყანაზე,
იშხანს ვერას შევადარებ, ლამაზია ის ყველაზე.
იქეთ კიდევ, ამ გზის ბოლოს, პარხალს გაუშლია მხრები,
ღმერთო, შენ სახელს დიდება, ამ ნანახით მართლაც ვტკბები.
ოშკი ვნახე, სილამაზით განთქმული და საამაყო,
მინდა მწამდეს და მჯეროდეს, რომ ჩემია ეს სამყარო...
ემოცია დიდი იყო, როცა ბანას გზას გავხედე,
ჩემი მიწის დაბრუნება უფალს აქაც კი შევბედე...
ხახულის ლვთისმშობელი კი მოწყენილი დამყურებდა,
ღმერთო, ქართველებს გვაღირსე, ამ მინაზე დაბრუნება!...

და რადგან იშვი...

და რადგან იშვი, რადგან ჩემშიც ღმერთი დადულდა,
რადგან ბაგასთან აღსაღენი ტაძრით მივედი,
მიკაკუნებდი, ეგების და კარი გამელო
და სტროფებივით, ტანზე სისხლით ლოცვებს მიწერდი...

ცრემლად გიდნები სანთელივით, მოდი მიწამლე,
მუხლზე ვუდგები შენს შობისთვის სრულად სამყაროს,
მეტამორფოზა სანამ ჩემი უფალს მივანდე,
მიკაკუნებ და მეც გელოდი, იშვი, მაღალო...

რომელმა ბაგამ დაიტია შენი სიმდაბლე,
და მეც ბაგასთან აღსაღენი ტაძრით მივედი,
როგორც გჩვევია, ვიცი ისევ თავს დაიმდაბლებ
და რადგან იშვი, ლოცვასავით გადაგინერდი.

ღმართი იყო სიტყვა...

სიტყვა უძლურ არს ანუგეშო ჭირით წარლვნილი,
როცა სამყარო უნებურად თავზე გემხობა...
ნეტარ არიან - ვინც იხილა როგორ ატირდი
და ლოცულობდი მათი სულის შენთან სახმობად...

მწყემსი კათილი

მწყემსი კეთილი,
შენი თვალები - ისე წრფელი,
ისე კეთილი
და შენი სული - ჩემი სულის თავშესაფარი
და კათარზისი,
რამდენი სულის გადასარჩენად
სულით და ხორცით ბოროტს კვეთილი
და თუ ვარ ღირსი,
შენს კვალში დგომის,
შენა ხარ ჩემი გონის საზრისი...

ყველა ჩვენგანის ჯვრის მტვირთველი და
შენს ხერხემალს ჯვარცმა შეზრდილი...
ვერ გარდმოგხსენით,
ვერ დაგიცავით,
ვერ შეგაშველეთ სული ცოდვილი,
საუკუნენი ვდგავართ და ვფიქრობთ
- განდოთ თუ არა სული ცთომილი?

მწყემსი კეთილი,
შენს ოლარქვეშ შეყუული შენი სამწყსო
გიმზერს ღმერთივით
და შენი ხორციც - ღვთის ტაძარი,
ვერ დატეული ამ მიწაზე ჩემი ღმერთივით...

ღვთის ხატება და ღვთის მსგავსება შენს მაჯაზე გადაკვეთილი...
ტრანსცენდენტური,
მიღმიერი,
ღმერთის რჩეული...
როგორ გარდმოვხსნა შენს ტანიდან ჩემი ჯვარცმა
- ხორცს მიჭედილი,
მითხარი, როგორ შეგაშველო ჩემი სხეული,
უშენოდ ყოფით მიტევებას გადაჩვეული...

ნეინდაო ნინო...

და იყო დრონი, საკვირველი,
ესე წეტარნი,
რომ კვლა ეუწყა საქართველოს, ცნობა დიადნი,
კერპთა საუფლოს ეახლაო ქალი ლამაზი,
ხელთ კი ეპყრაო თურმე ჯვარი,
ვაზით ნაჭედნი...
შორ გზის გამოვლით ასე წყნარად
ფრიად მოშიში,
ფარაონის ტბას მოპრძანდაო,
ნინო ქალწული,
როგორც წეტარი, დიდად მორწმუნე და დამაშვრალი...
გრძელი გზით
მავალ ლამაზ ქალწულს იღიერ გადალლილს,
კაპადოკიის მშვენებას და ბიძის
დალოცვილს,
დიდი მისია რამ არგუნა, ფრიად განგებამ,
რომ საქართველო მოექცია, ღვთის
ნილხვდომილად...
და მოდიოდა...
ნინო ჯვარით ხელაპყრობილი,
როს ტბასთან ახლოს, მეცხვარეებს ჰქონდათ ნადიმი,
ნინომ მომხვდურებს, კვლად აუწყა
გულის წადილი,
მაგრამ მეცხვარეთ, კერპებისკენ
ელტვოდათ გული...
არ მოუსმინეს, ნინოს ღმერთებს თაყვანი არ სცეს,

თუმც კი, მცხეთისკენ გამოჰყვნენ და ეახლნენ კერპებს,
რომ მოიქუფრა, ჩამობნელდა,
ცა ჩამოიქცა,
ნინომ შეპრისხა ყველა კერპებს
და უხმო ღმერთებს...
მაშინ პირჯვარი გარდისახა, როს ჯვარს ემთხვია,
კვლავ საქართველო შეავედრა,
ლოცვა წარმოსთქვა,
„დედაო ღვთისავ,“
დაიფარე შენი ქვეყანა,
და მე მხევალი, არ მოვაკლებ ლოცვა-ვედრებას...
ო, საოცრებავ, სასწაული იხილეს კაცთა,
მთელი ქვეყანა
როს გაპრწყინდა, გამომზიანდა,
მაშინ იწამეს ნინოს ღმერთი,
უარყვეს კერპთა,
და საქართველო წილხვედრილი,
გაქრისტიანდა...

შოპის დღესასწაული

აწკრიალდა ზეცის კარზე
ანგელოზთა გალობა,
ვარსკვლავებსაც ღამის ცაზე,
მოსმენა უხაროდათ.

ბედნიერი წუთები დგას,
გაიხარეთ, გამრავლდით,
ქრისტე იშვა ბეთლემის მთას,
შობის დღესასწაულით.

მოდის დიდი იმედებით,
ჩვენს გულებში სახლდება,
მოაქვს ქვეყნად სასწაული,
თორმეტი რომ გახდება.

ზარებს რეკენ სამრეკლოში,
ადიდებენ მაცხოვარს,
ქრისტეს შობას ყველა დროს,
სასწაული თან მოაქვს.

გამოალეთ დარაბები,
თქვენი გულის კარები.
უფალს შეხვდით სანთლით ხელში,
ლოცვით, გულმხურვალები.

ანგელოზის

ტაძრის გუმბათზე შემომსხდარიყვნენ,
ანგელოზები ზეციურ ღვთისა.
ნაზად გალობენ, ერთად ფსალმობენ,
კვლავ სადიდებლად სვეტიცხოვლისა.

თითქოს აღმართეს ქვეყნის დარაჯად,
სვეტიცხოველის მონასტრის ჯვარი,
უწმინდურთათვის კარი ჩარაზეს,
არ დაარღვიეს წმინდათა ვალი.

ნიაოცოზ-ნიაალა ბალაშვილი

ალავერდის

იანვრის გათოშილ დღეების გამო,
გულში დამრჩება სიწმინდის გლოვა
და ალავერდის დიდებულ ტაძარს
დაეფინება ზეციდან თოვა.
საკუთარ სულში გაყინულ დარდით,
ლოცვად ავანთებ კანდელზე სანთელს,
ოცნებით შევალ ცხვრის ბაგაში და
მოვიხსენიებ, ღმერთო, შენს სახელს.
მეც მაპატიე და მეც ვპატიობ,
ალავერდს მივალ ალავერდობას,
სანთელს ავანთებ შენს სადიდებლად,
ალდექ, უფალო, ყოველ აღდგომას!
იანვრის გათოშილ დღეების გამო,
გულში დამრჩება სიწმინდის გლოვა
და ალავერდის დიდებულ ტაძარს,
დაეფინება ზეციდან თოვა.

ლალადი ეკლესიისა

...და ქვითკირისგან ნაგებ-ნაშენი ეკლესია ვარ,
ხალხის ალერსით აშენებული.
ჟამთა-სიავეს გადავურჩი, მომხდურ მტრებისგან
და მეხდაცემულს, ჭირთათმენით, შეუბლალავად,
მე მოვიტანე ეს სამშობლო, ლოცვით, ვედრებით.
წმიდა ფრესკებთან ფორიაქობდა თებერვლის სუსხი,
სიმკაცრის ზლაზვნით თენდებოდა დილა ეული,
ჟამთა სიავემ, ვერ გამტეხა და ჩემი ზარიც,
რეკლა სამრეკლოდ, აღმართული რწმენის კედლებით.

ანა ბერიშვილი

შობა

მოვიდა ღმერთი, ჩვენთან ამიერ,
კრავის ბაგაში კანკალებს, კრთის.
ელვრება მნათი ციდან ხვავიერ
ნამისყოფილ შეუცნობელ ჩრდილს.

მზემ გუნდრუკი და მიწამ მური,
მოილეს სული წმინდისა,
წილ რძით და ტკბილი თაფლით
დანამულნი მწყემსნი კრძალვით შეხაროდნენ ჩვილს.

შობის ღამეს უსასრულოდ ათოვს,
სცნეს მოგვებმა მზე ვარსკვლავი უფლის,
მოართვეს ოქრო, ვითარცა ბატონს,
თაყვანი სცეს, დაუმდაბლეს შუბლი.

სცნეს მოგვებმა უნაპიროდ მძიმე,
ერთვის მწუხრი საუცხოო მნათობს,
მზე ვარსკვლავიც თეთრად მოციმციმე
შობის ღამე საუცხოოდ ათოვს.

მოგა

ნათელ სხივებს მთელ ქვეყანას აყრიდა
მზე ვარსკვლავი მოელვარე ზეცაზე,
ბეთლემს იშვა საიდუმლო მაღლითა
ამა სოფლის მოთმინებით აღსავსე.

ვინც ჩვენს შორის სათნოება დათესოს
ანგელოზი ზღვა სიხარულს აწვევდა,
მზის სხივებში შეახვია იქსო,
ფრთა თეთრ თოვლში ანაცრემლი სევდა.

ვინც კი მიწით გამოძერწე, ანათე,
ამჩენია სიყვარული უბადლო,
კრძალვით ვაღებ ჩამოთოვლილ სანათებს,
გევედრები, შემობრძანდი, უფალო.

სანთელივით ჩაიწვებით ამ სოფლის გზები წმინდა,
გზებო, მზემიუვალო ზეციერო,
ჯვარი შენი არსობის
მოგვიტანე მსუბუქი და უბრალო.

გზად ვერც წყურვილს და ვერც მიწას იქარწყლებ,
სანთელს ვანთებ, შენს მზე ვარსკვლავს ვუგალობ,
გევედრები, შენთა ფერხთა კვარცხლბეკი,
სიყვარულით გაგვატარე, უფალო.

თამას ბეფიაშვილი-ხოშტახის

გისაროდენ!

ეგ რა ცეცხლი შემოგეგზნო, ღვთისმშობელო,
რა ტანჯვა და რა სიმწარე მოგეახლა,
დიდი დარდის დედავ, ყველას ახლობელო,
გტანჯავდა და კაცთა ცოდვა გტანჯავს ახლაც.
გოლგოთაზე სიმწრის კალო ტრიალებდა,
ყურს გასმენდნენ - ჯვარს აცვიო, აცვი ეგე,
ბრძო დუღდა და სისხლით მთვრალი ღრიალებდა,
შენ მათ რისხვას დედის ცრემლი შეაგებე.
გაითქვიფა უგვანოთა ხეტიალში,
სიყვარული, სათნოება კაცთა შორის,
სიკეთის წილ-ბოროტება, ბარი-ბარში,
მარადისი ცოდვათ ცოდვა იმ ამბორის.
უჯერ კაცთა ავ განზრახვებს შეწირული,
ნანამები ძლიერ, განა ცოტაოდენ,
ღვთისმშობელო, დაიამო ეგებ წყლული,
მევდრეთით აღსდგა ძე შენიო, გიხაროდენ!
თუკი ნახავს დედა შვილის მოკვდინებას,
სხვა რა ტანჯვა მიიჩნევა უფრო დიდად...
და აღსრულდა ზეციური მამის ნება,
ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად!

... და იდგა უამი გაცქაფული, ღამეც რომ ვერ თვლემს,
თუმც ერთი წამით წყაროსაც კი ჩაეძინება,
წყნარად და ჩუმად სასწაული ხდებოდა ბეთლემს,
იმ ღამით მხსნელის დაბადება ღმერთმა ინება.

პაგაში იშვა, ვარსკვლავებმა გზები ამხილეს,
ბაგეზე რძის სუნს შერეოდა მურის სურნელი,
მალავდა ღამე საიდუმლო გადაძახილებს,
სასოებასთან სევდაც იშვა ტანჯვის მსურველი.

იმ ღამით ცაზე მთვარე იყო სულ ოდნავ ბაცი
და იკმეოდა სურნელება გუნდრუკის, ცვილის,
ამდენი ლელვით გამოსცლოდა ღამესაც ქანცი,
იწონებოდა ყველა წამი ლერწამის წბილით.

სიყრმის შვილი შვა... დედობრივი შეიტქბო განცდა,
მწყაზარ სახეზე ამოდ მქრქალი ლიმილი კრთოდა,
დაეშვა ნება საცხოვნებლად ცოდვათვის კაცთა,
ქრისტე იშვაო... ხვავრიელად თოვდა და თოვდა...

მარი ბერიაშვილი

გარიამობას

ჰოი, მარიამ, წმინდა ქალწულო,
ქერუბიმებზე აღმატებულო!
გაფერმკრთალებულს ჩვენსა საწუთროს,
მიეცი ლხენა, ღვთივ კურთხეულო!
შემოაცალე დიდ მუხას მუმლი,
იმედით ვუმზერთ საფარველს შენსას!
გადიდებთ, გიხმობთ ყოველი სული,
ცრემლით გიგალობთ, ქალწულო, „ღირს არსს“...
დაგვაწყალობე კაცი ყოველი,
რამეთუ ღვთისგან ქმნილი ვართ ყველა...
აღმოსავლიდან, შენს მზეს მოველით,
სუსტსა თუ ძლიერს - შენგან გვსურს შველა!
ჰოი, ქალწულო, დედაო ღვთისავ!
ხელთუქმნელ ხატის გვნამს დიდი ძალა!
ანყურის ეკვთერს, მშვიდსა და მზიანს,
დაბრძანებულხარ დედოფლად მარად!
პირ-სახე შენი აღბეჭდე ტილოს,
გამოატანე ანდრიას -წმინდანს...

მოექცა ერი და იცხებს მირონს,
მადლს იტევს შენი წილხვედრი მიწა.
ჰოი, მარიამ, წმინდა ქალწულო,
დედათა შორის აღმატებულო,
ხევ, უკვდავების, ღმერთისგან რწყულო, -
მოგვხედე სამწყსოს, ცოდვისგან ვნებულს.

აპა, გუნდრუკი! გიკმევთ საკმეველს,
აპა, ყვავილნი! - სურნელი მათი...
შენს მოწყალებას აუარებელს,
უკუნისამდე მოვდრიკეთ თავი!...

თარმოსახვითი სურათი

გადმომდგარიყო დილა გომბორზე,
გადადიოდა მზე ალავერდში,
ჩამომჯდარიყო სიო ფოთოლზე,
ვაზის ლერწამებს იწნავდა თმებში.
ზარებს რეკავდა სინათლე ცისკრის,
ეჭიდებოდა მომავალს აწმყო...
იმედით ნაქსოვ ფარდაგებს სირმის
ჩამოეწრიტათ ლელეში წყარო.
ცას ეხებოდა ნეკრესი ხელით
და ჭმუნვა ძველი აჩნდა შუამთას...
აქ, ყველა დროის გადმოსახედით,
გზა, პირველ რიგში, მიდის უფალთან.

ბათი ბოცეი

სულის ჟურნალი!

მხნე, უჟანგავი, მარლომორწმუნე, ტაძარგუმბათი,
ხელსაჭრეთელით ნაკვეთები მოფირუზფერო,
სამნავიანი ბაზილიკა ხუროთმოძღვრების,
ექვსთალიანი ღია სტოა და სამლოცველო...

ვახტანგ გორგასლის ჟამინდელო დიდებულებავ,
მამა-პაპათა ნაღვაწარო ფუძევ ძირძველო,
რა ხელმა გშობა?.. ამისთანა შეურყეველი,
შენი დიდება სულსაუფლო რით არ ვიფერო...

ხარ საქართველოს სანიმუშო სულის ჭურჭელი,
მზე სხივიანი, ბოლნისური სიონ სამრეკლო,
მრავალუამიერ!.. მარადისი შენი დიდება!..
ამერ, იმერი, ამენ!.. ქარვა სხივი ირეკლო...

ასომთავრული წარწერები სულთა ჩვენთათვის,
ქვათა ღაღადით, ყური უგდეთ დღესაც გვიგალობს,
უფალთან მსახურს, ეპისკოპოსს, მღვდელ დავით ბოლნელს,
ბოლნური ჯვარი, ცით უპყრია!.. რწმენის სიმბოლოდ...

ნმინდა ხარ

ნმინდა ხარ, უმანკო, ნათელო,
სანთელო, ნაძერზი ცვილი ხარ,
ეტევი პანია საშანდლეს,
ლოცულობ, იწვი და ტირიხარ...
ღანკვები გილვივის, მერთალ ალზე,
ნმინდანო, ოი, რა დიდი ხარ!..
ცხელ წვეთებ, ტანს დაგდის ცრემლები,
ლოცვებით ზეცაში მიდიხარ...

ქვეშის ციხე

დგას ამაყი ქვეშის ციხე,
კლდეს ნაკვეთი, ბუმბერაზი,
სანაქებო, საუცხოო,
უძველესი ნმინდა ბერი...
მაშავერას ყურს დაუგდებს,
მისი სიზმრის მწყალობელი,
იცავს მშობლის მიწას ქართულს,
მხნე, ჭარმაგი, უძლეველი...
ქვეშს დასცქერის თვალ-ქორულებ!..
გონიერი, შორსმჭვრეტელი,
შუბლს იჩრდილებს ღრუბლის ქულით,
ვერ შეახოს მტერმა ხელი...
გული ფეთქს და უცემს ძალუმ,
სიყვარულით სავსე ლხენით,
მაჯის ცემას უთვლის სოფელს,
მოდარაჯე ქვეშის მცველი...
სამლოცველო, ქონგურებით,
სახე ბრძენი, ბედნიერი,
ლოცავს დედა საქართველოს,
მიმრავლდითო მთელი ერი...

ორი ილია

„მამული, ენა, სარწმუნოება“,
ილია მართლის ჭეშმარიტება,
„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“,
პატრიარქისა ბრძნული ნათქვამი.
კვლავ ჭავჭავაძის „ქვათა ღალადი“
ესეც ქართველთა ქრესტომათია,
საქართველოც ხომ ანდამატია,
ამ პლანეტაზე არ ჰყავს ბადალი.
„მამული! ენა! სარწმუნოება!“
ამ მომავლისთვის ზრუნვას აქვს ფასი!
ფიქრი სხვა რამის ამაოება,
მერე ცხოვრება ყალბი და ფარსი!
ეს კურთხეული, სამოთხის კარი,
იბერიელთა „ნმინდა გრაალი“,
ყველა ქართველის ხატი და ჯვარი,
გვაქვს საქართველო ჩვენ საფიცარი.

0ლია მეორეს

სამყარო ღმერთის ქმნილია,
ზე გონით მოწყობილია,
ადამი მოვლენილია,
უფალთან განდობილია.

ვიფხიზლოთ, რა დროს ძილია,
ამას ლოცულობს ილია,
უარვყოთ სიძულვილია,
სიკეთე არ დაილია.

ტკენა სხვის ადვილია,
სიკეთე ძნელად თლილია,
ჩემი ოჯახის ნათლია,
პატრიარქია ილია.

სვეტიცხოველი

მე რა ვუმღერო,
ამ სასწაულს
ჯერ არნამღერი,
რითი შევამკო,
არის თქმული
სიტყვა ყოველი,
დგას მცხეთის გულში,
წმინდანების ძალთა ნამქერი
და სულში გვიკრავს
დიდებული სვეტიცხოველი.

სამება

როდესაც ვნახე სამება,
ენა კინალამ დამება,
ცხადი იყო თუ ზმანება,
სიხარულ-ცრემლით ამება.

შევყურებ დიდებულებას,
სული სითბოთი მევსება,
რითმები მებულბულება,
აზრები გამელექსება.

გულს დარდი როცა მაწვება,
ფიქრნი იწყებენ წამებას,
მივალ ვილოცებ და შვება,
მეგვრება, ქრება ღამება.

როდესაც ვნახე სამება,
სიტყვა-სიტყვას ვერ წამება
და ვინც ამ ტაძარს აგებდა,
ყველა დალოცოს განგებამ.

მჯეროდა! მნამდა!

(ქეთევან დედოფალს)

რა უჩვეულო ღამეა ახლა,
თვალებსაც როგორ გაუცვდათ ფერი,
სადღაც გაჰყვირის შორს, მოლა გაღმა
და მიკანკალებს ფურცლებზე ხელი...

შემომეხვია დარდი, უფალო,
მძიმეა იგი, სუსტ მხრებზე მდგარი,
ნეტავ, ოდესმე ისევ მანახა
როგორ ჩაივლის მეტეხთან მტკვარი...

დედა ქართველთა და დედოფალი,
ცრემლით ნამავდა სევდიან ფურცლებს
და უკოცნიდა ქვის ფილაქნები,
ლოცვით ჩამომდნარ იმ ლამაზ მუხლებს...

ამ სავსე მთვარის და ამ ცის მიღმა,
იქ, სადაც ჩემი სამშობლო არის,
გებარებოდეს შენ, ღვთისმშობელო,
მიიღე ლოცვა ქართველი ქალი!

ამაღამ, თორემ, თენდება დილა,
დილა, რომელიც გოლგოთას ჰერდა
და დაშანთული მისი სხეული,
თითქოს, ჩვენს ცოდვებს ხელახლა ჰბანდა...

სიკვდილს უფლისთვის შეხვდა და დასცა,
ჯვარცმული მაინც არაფრით გასცა!
ცოფებს ჰყურიდაო შაპი ვერაგი,
შემოიგლიჯა ლამის პერანგი...

რადგან ქეთევან სამშობლოს ჰგავდა:
ქრისტესთვის კლავდინენ და მაინც სწამდა!
ჩამოილრუბლა, მზის გაპქრა სხივი,
თითქოს, შეიკრა ლურჯი ცის პირი...

იქ, გოლგოთაზე იხუვლა ქარმა,
მშვიდი დინება შეწყვიტა მტკვარმა...
მეტეხშიც გლოვის შემოჰკრეს ზარი,
დედებმა მყისვე ჩაიცვეს შავი..

და ის დღე, სხვა დღეს რაღაცით ჰგავდა,
რომ გაუძლებდი, მჯეროდა! მწამდა!..

უკვდავგანიანობა, ძათევან!

/ქეთევან დედოფლის დაბადების 450 და წამების 400 წლისთავებს/

მიიხმო შაჰმა შირაზის კარზე ქართველი მძევალნი,
მაჰმადის მოწამედ სურდა ქეთევან-ქრისტეს მხევალი...
შვილიშვილების სიმწარე როდი აკმარეს დედოფალს,
ვერ უმფარველა სამებამ ამ მსხვერპლშენირვის ეპოქას...
შაჰი არ ელოდა უარს, ნაფიქრ-სურვილის მეტოქეს,
იგრგვინა - „მაშ, დასწვით ცოცხლად!“ - ქეთევანიც, მყის, შეთოვეს.
შაჰმა დამცრობად შეიგნო უარი თავაზიანი
და სისასტიკემ შეიძნო დღე — ჯვარცმის თანაზიარი;
...ცისკრის ობოლი ვარსკვლავი უკვდავების ნიშას ჭვრეტდა.
ცეცხლის ალი დიადემად ედგა — უკვდავ ნიშანსვეტად.
სატანამ დედა-დედოფლის გულ-მკერდზე გაინავარდა —
საკმევლის? — დამწვარი ხორცის-სურნელი ცაში ავარდა!
ჩამოშავბნელდა შირაზი... მზეო, არ ხარ მზე, შავდები...
ბოლმით გაიპო, შუაზე, ამომწვარ მკერდზე შანთები!
მზეობდა მკერდდაშანთულიც, უსულოც ანგელოზს ჰეგავდა
და ერთგულს რწმენის — ქართულის — მფარველად იესო ჰეყავდა!
— ქრისტეს მხედრებად მოსული ერის შვილს როგორ გაკადრეს,
დაგეთმო უმანკო სული — რწმენისთვის ჯვარზე გაგაკრეს!
შენი სიმტკიცის წინაშე ღრუბლებიც კრთიან ოსანით...
განედლდა ზეცის წვიმაში ბრმა ბედის კრიალოსანი!
ვერ დავარქმევდი მზიან დღეს დიდი სიცოცხლის მსუსხავ დარს,
ხსოვნა რომ გაგიმზიანდეს, უხვად გიძღვნი ბზა — სუსამპარს...
ქეთევან, უამი ოსანით საუკუნობით მოგდახის —

ხარ თვალი პატიოსანი ქრისტეს მხევალთა ოჯახის.
გულში სამშობლო კი არა — საქრისტიანო გეტევა:
გჭირს ოთხასი წლის იარა, უკვდავმზიანობ, ქეთევან!
მრავალი ქვეყნის გენიამ უკვდავგყო, ხოტბა შეგასხა,
უკვდავმზიანო, სულმანათო, ერმა წმინდანად შეგრაცხა!
ქეთევან, სიმტკიცე სულის უსაგზლე მადლად ათასებს —
ამ თავგანწირვით რწმენისთვის წმიდანს მსოფლიო გაფასებს!
მიეცათ ძალა კურნების შენს დღემდე უხრნელ ნაწილებს —
მიეახლება ვინც რწმენით, ამარცხებს ბედის ქარ-წვიმებს!..
...ზეობდა გამარჯვებული, მრავალგზის, „ირანის ლომი“,
უნახავთ, ბრძოლის ველზეც ის, მბრძოლი სისხლიან ჭრილობით...
მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოინელა ის ომი —
ქეთევანის გამარჯვების — ქრისტესთან სიამტკილობით!
ორმოც წელს აღზევებული მფლობელი მაშრიყ-მაღრიბის,
ხუთ წელიწადში დანელდა სკიპტრა-სულ-ხორცით ღარიბიც:
დასთმო ტახტის და სიცოცხლის პყრობილი ყველა მწვერვალი!..
ასე სჯის ცოდვილ მოკვდავებს უკვდავი წერამწერალი!
...იმ დღეს, როცა ქეთევანის დაიშანთა წმიდა მკერდი,
თეთრი ალავერდის გუმბათს თეთრი დააფრინდა მტრედი...
კახეთის დედა-დედოფლის უბინო, ღვთივსათნო სულმა,
აქ დაიმკვიდრა სავანე ზეცით მტრედად გადმოსულმა!
მოვითვლით ოთხ საუკუნეს სანმიდანო კრიალოსნით —
საქართველოს არც დაღლის დრო ქეთევანზე წირვა-ლოცვით!..
გრემ-ალავერდში ნახავს წელს მრევლი დედოზართა გუგუნს;
ქეთევანის რწმენის ცხრა მზეც გააცისკრებს ჟამთა უკუნს!

უფალო ჩემი!

სულით ხორცამდე შემძრა ჯვარცმამ, უფალო ჩემო,
ხელისგულიდან სისხლის წვეთი დაეცა ჩემს გულს.
ტკივილს და წუხილს ვითავისებ, ვგრძნობ კიდეც, ვჩემობ,
წმინდა ღვთისმშობლის ცხარე ცრემლი მადარდებს ერთგულს.
დედის გოდებამ შემინგრია გულმკერდის ძვლები,
უკვე რამდენჯერ გავათენე ფიქრებით ღამე.
გავლილმა გზებმა დამანახა „ცხვრის ქურქში მგლები“,
შენთვის მომინდა სანუგეშო რომ მეთქვა რამე.
ფიქრებში გხედავ, ვტირი განცდით და ცრემლი მცვივა,
რომ არ დაგინდეს, გაგიმეტეს სიმართლის მთქმელი.
რად ვერ გაგიგეს სიკეთის ჰქმნა, გული მეც მტკივა,
რატომ გინწოდეს უბოროტოს სიცრუის მქმნელი.
შენი ხელიდან სისხლის წვეთი დაემჩნა მიწას,
დარჩა მასზე და დღევანდლამდე ეტყობა წმინდად.
შენი დედის ხმას ვერ აკავებს ვერც ქარი, მინა
და წლები ყურში კვლავ ჩაგვესმის წუხილად, გმინვად.
მაინც სიცოცხლემ გაიმარჯვა, აჯობა სიკვდილს,
შენი ხატება გადმოგვყურებს მაღალი ციდან.
გვჯერა, რომ ისმენ ლოცვად ნათქვამს, ზეცამდე მიწვდილს,
გვერდით დადგომას გვიდასტურებ უმალვე თქმიდან.
მინდა, რომ გულში ვიხუტებდე შენს ნალურსმ ხელებს,
ვით შენი დედა-მარიამი, ვირჩენდე წყლულებს.
უფალო, გლოცავ და დიდებას გავაწვდენ ველებს,
ხოლო ხატის წინ, ცრემლით სავსე, მოვიყრი მუხლებს.

უფალო, შენით...

უფალო, შენით ვეზიარეთ შობას და აისს,
შენი დიდებით ველოდებით ბზობას და მაისს,
ქედს ვიხრით კრძალვით, გადავიწერთ თითებით პირჯვარს
და შენი ნებით დავატარებთ იმედის დიდ ჯვარს.

გული გვატკინა შენმა ვერცხლზე გაყიდვამ, ღმერთო,
მაგრამ გვმფარველობ, მაინც შენით დავდივართ ერთობ,
შენთვის ვლოცულობთ, სამადლობელს ყოველდღე ვამბობთ,
რომ გვერდით დგომა დავაფასოთ, რომლებზეც ვხარობთ.

უფალო, ღმერთო! შენს სიკეთეს საზღვარი არ აქვს,
რადგანაც გული სიყვარულით გამთბარი დაგაქვს,
შენი დიდებით დავაბიჯებთ, ამ ქვეყნად დავალთ
და შენს გარეშე ვერასოდეს გზას ვერსად გავალთ.

შობა

დღეს, ამ ღამეს, ქრისტე იშვება ისევ ბაგაში,
მოევლინება ცოდვილ მიწას ისევ მესიად,
იქნებ ამჯერად მისმა მოსვლამ იღოს ნაყოფი.
ეშმა განვაგდოთ და ვიცხოვროთ, როგორც წესია.

ყველა ფანჯარას დაამშვენებს სანთლის ციალი,
რაც იმას ნიშნავს, იმედი გვაქვს, მოვა იესო.
გულის კარები გამოვალოთ, ჩვენ თვითონ ვნახავთ
სასწაულებით, როგორ იცვლის არე იერსო.

შობა

ცაზე ვარსკვლავი აენთო,
ბრწყინავს, ციმციმი არ წყდება.
შობა დამდგარა, გამოდით,
ეს ვარსკვლავი არ მოწყდება.

ქრისტე... ამბობენ, დაიბადა ცოდვის სატვირთად,
უფალმა შვილი სატანჯველად ჩვენთვის გაწირა.
უცოდველი, სიკეთის მქნელი ვერცხლზე გავყიდეთ,
ჯერ ვადიდეთ და მერე ჯვარზე ჩვენვე გავყიდეთ.

მეც მოვიდოდი იმ ბაგაში ყრმის მოსალოცად,
ისე, ვით მწირი მარტოსული, მიუსაფარი.
მეც ვემთხვეოდი, ვიხარებდი მის დაბადებას,
მეც მეწვეოდა აღმაფრენა შეუსადარი.

გალობას ციდან მოვისმენდი ქერუბიმების,
ბაგაში მძინარს სიხარულით უნანავებდი.
მეც გავივლიდი მის ნაკვალზე მცირედმორწმუნე,
ჯვარცმის ტკივილს, სულის შებერვით დავუამებდი.

იქნებ რწმენაში ბევრად უფრო მყარად მეცხოვრა,
ურწმუნო თომას ხასიათს რომ არ მოვრგებოდი.
ახლაც მოვა და იმედებით სულსაც ამიგსებს,
იმ დროში ვიყო, იქნებ მისთვის მეც მოვკვდებოდი.

ნითელი პარასკევი

დედაო ლვთისა, წმინდა მარიამ,
ვერცეკი გავპედავ მოგისამძიმრო.
შენი ტკივილი სულ სხვაგვარია.
დღე გაგვითენდა ერთობ სამძიმო.

სატირალი ხვალ გვირგვინს დაიდგამს,
ალსდგება მკვდრეთით და ამაღლდება.
მამის მარჯვნივ ის ტახტრევანს იდგამს,
ეს მძიმე დღე კი გვიან ღამდება.

სარეპა

როცა ანგელოზმა ქალწულ მარიამს,
დაორსულება მისი ახარა,
ქალწული შეცბა, შეფიქრდა წამით
და სიმორცხვისგან თავი დახარა...
მერე კი ჰკითხა: „ვითარ იქნება,
მე მამაკაცი რომ არა ვიცი?
ვითარმე არის მოკითხვა(ი) ესე,
მითხარი, რადგან მე ეს არ ვიცი“.
მაშინ მიუგო მას გაბრიელმა:
„ნუ გეშინია, მიმადლებულო,
კურთხეული ხარ დედათა შორის,
კურთხეულ არის ნაყოფი შენი,
მასზე არს მადლი თვით სულინმინდის.
შენ შობ ძეს ოვთისას,
მაცხოვარს კაცთა
და მას დაარქმევ სახელს - იესოს,
იგი იქნება მხსნელი ქვეყნისა,
რომ ცოდვებისთვის აღარ მიეზღოთ“...
და დაიუნჯა ეს მარიამმა,
მოუხმო რწმენას და მოთმინებას,
თვით სულინმინდის მადლით აღვსილი
დაემორჩილა იგი ოვთის ნებას.

კაპადოკიდან

კაპადოკიდან ქართულ მიწამდე,
ვაზის ჯვრით ხელში ფეხით გამოვლო,
დედაუფლისას თხოვნით და რწმენით
მან მიატოვა თვისი სამშობლო.
კაპადოკიდან საქართველომდე
ფეხით იარა ქალწულმა ნინომ,
თუ მცხუნვარე მზე უწვავდა ღაწვებს,
შუბლი უგრილა მას დილის სიომ.
მრავალ განსაცდელს, უამრავ ხიფათს
ქალწულმა ნინომ მისთვის გაუძლო,
რომ ექადაგა ქრისტიანობა, -
მან ხომ ღვთისმშობელს სიტყვა დაუდო...
და ქრისტიანად მოექცა ქართლი,
თვით მირიანმაც იწამა ქრისტე,
წმინდა ნინო(ი)ს მადლით და ღვაწლით,
სიბნელის კერპებს სძლია მან იმ დღეს...
და მოციქულთა სწორად იწოდა,
სწეულთ კურნავდა ქრისტეს სახელით,
მან მაყვლოვანში დაიდო ბინა,
ყველას შუქს ჰექნდა მისი ნათელი...
და ბოლოს, ბოდეს იხილა ერმა,
იქ დარჩა მისი წმინდა სხეული,
მისი ლოცვით და მისი შეწევნით
დღესაც მადლს ჰპოვებს ბევრი სწეული...
კაპადოკიდან ქართულ მიწამდე
ფეხით გამოვლო დიდი მანძილი,
ქალწულს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა
და მოდიოდა რწმენით აღვსილი.

სუმელა

რამდენი ცრემლი და ტკივილი გაიარე,
რომ რწმენით გევლო და არ დაცემულიყავ,
ახლაც ძნელია შენს ნატერფალზე ავლა,
ლოცვით სანთელს ერთხელ რომ ანთებ, სუმელა.

რამდენი ომის და სისხლისღვრის მოწმე ხარ,
მაინც ვერ დაგაჩოქა მტერმა ვერასდროს,
ურწმუნო კრძალავს ლოცვას, სანთლის ანთებას,
რწმენით კი აღავლინე ლოცვა აგვისტოს.

წმინდაო მარიამ, შემწე ხარ ქართველის,
ვერ დავიცავით შენი წილხვედრი ქვეყანა,
უფალო, შეუზდე ეს ცოდვა ქართველ ერს,
ქართველი მარჯვენით ვერ თესავს პურის ყანას.

რამდენი ცრემლი და ტკივილი გაიარე,
რომ რწმენით გევლო და არ დაცემულიყავ,
ახლაც ძნელია შენს ნატერფალზე ავლა,
ლოცვით სანთელს ერთხელ რომ ანთებ, სუმელა.

რწმენა ჯვარისა

ნინოს ჯვარი გულს ჰკიდია დღემდე ყველა ქართველს,
მის რწმენაში მოვდიოდი და ვფიქრობდი რამდენს,
მოდის ლოცვით, სიყვარულით, საქართველოს მთა-ველს
და მის ლოცვით რწმენას გულში ვერავინ ვერ მართმევს.

ღვთისმშობლისგან ბოძებული ვაზის ჯვრით მოდის,
მებადურთ დაპურეს თევზით, ფარავნის ტბასთან,
მოიკრიბა ნინომ ღონე, რწმენით მოეყვანა,
სიხარულით ქართველები ქრისტიანულ სულით.

მოდის ნინო თმით შეკრული ვაზის ჯვარით,
თენდება!
ო-სანა, იესო გვეწვია,
ბ-ზობაა, მან
ზიდა საზიდი!
ა-მ კვირას იესო აღდგება!
ა-ანთეთ სულყველამ
სანთლები!

ალილო

ჩემს სახლში შემოდი, მარიამ,
ჩემს სახლში დაბადე იესო,
აქ თაფლის სანთელი მინთია,
პატივი მე დამდე დღესო!

ჩემს სახლში დაიდე ბინა,
ჩემს გულში შემოდი, იესო,
მარგუნე ამ ჯვარის ზიდვა!
აქ დღეს ალილო მღერსო...

ნინო ჩოსტიაშვილი-ნება

საქართველოს პატრიარქს ილია მარიას!

...და სანამ შენი ლერწამი ჰყვავის, უდრეული რტო ხარ
საქართველოსი!
შენი ლოცვები ისხამენ ყვავილს და მრავლდებიან
საქართველოსთვის!
ვერ მოგვერევა მტერი ბნელეთის, ეშმასაც მოსდის
ელეომელეთი,
შენი ჯვრითა და შენი ლოცვებით, ცად სული ხარობს,
ხალხი ხმელეთით.
შენ რომ არ გვყავდე მწყემსად ცხოვრების, დაფანტულ
მრევლის შვებად ყოველის,
აპრილ-ნოემბერს, განცდად მოვლენილს, ვერ აიტანდა
მიწად მყოფელი.
...და დგახარ ერის კავკასიონი, ვით მყინვარწვერი
საქართველოსი!
შენი ლოცვით და წმინდა სიონით, მრავალუამიერ,
საქართველოსთვის!

პეტლეას

გასპარ, მელქიოფ, ბალთაზარ - მოგვნი სულით,
თან მიჰეონდათ საკმეველი, ოქრო, მური.
მიჰყვებოდნენ ყველაზე დიდს, მოგვნი, ვარსკვლავს,
აქლემმაც კი ჩაუმუხლა ციურის კვალს.
აქ ხომ ქალწულ მარიამმა გაიარა!
ეს აღმართი მუცლის კვნესით აიარა...
როგორც იქნა მიაღწია სადგომს, მწყემსთა,
იშვა ჩვილი მინურ ბაგას ჩვენდა მხსნელად.
ამოხეთქა წყალმდინარემ, ზეთმა, ცეცხლმა,
აქ იწყება ვარსკვლავთ ომი, მიწიერთა...
ათას ერთი ვარსკვლავიდან იმ ერთს ველით,
ის ერთია, ის ერთია მხოლოდ მხსნელი!

ჩემი ივნისი (ნო. 606)

დღეს თბილისი ეთხოვება მაისს, გაზაფხული ზაფხულს
უთმობს აისს,
დღეს მტკვარია უჩვეულოდ წყნარი, იდუმალი,
თითქოს ლოცავს თბილისს.
სიონიდან ისმის რეკენ ზარებს, მცხეთის ცაზე
გასხივდება თაღი,
ლოცვად შედგა ყველა ქრისტიანი, ზეცას სწვდება წმინდა
სანთლის ალი.
გზა დავუთმოთ, მობრძანდება ვაზის, ნაწნავებით
შემოსილი ჯვარით,
გასცვეთია ქალამნები გზაში, წმინდა ნინო
მობრძანდება მადლით!
ჯავახეთის მთები გადუვლია, მტკვრის ბილიკებს
დაჰყოლია ქარი,

მეტეხიდან ლოცვებს უსმენს მტკვარი, მოაცილა
გადაღლილი მგზავრი.
წმინდა იყო გზა სავალი მისი, უტვირთია თავად უფლის ვალი!
ნაწილი შემოსილი ვაზი, აღმართულა ბოდბეს ნინოს ჯვარი!

უფალო, შემიღევე... „ვია დოლოროსა“...

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მანიშნებ მეგობარს მზაკვარს,
არა და როგორ გადამავიწყდა,
თვით მეგობარმა ამბორით გაგცა.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ დაუშვი ჩემი დაცემა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
გოლგოთის გზაზე სამჯერ გაცემა.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მარიდე ეკლიან გზასა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
ალდგომამდეა....

„ვია დოლოროსა“.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ შემოსე ყველა შიშველი,
არა და როგორ გადამავიწყდა,
შემოგაფლითეთ ჩვენ სამოსელი.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ აპურე ყველა მშიერი,
არა და როგორ გადამავიწყდა,
წყალი გვთხოვე და ძმარი გაპკურეთ.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ გამრავლდნენ ავაზაკები,
არა და როგორ გადამავიწყდა,
რომ ბარაბაში თავად გაგცვალეთ.

ღმერთო...

რამდენჯერ გისაყვედურე,
დედა არ უნდა სტიროდეს აკვანს.
არა და როგორ გადამავიწყდა,
თვით მარიამი სტიროდა თვის ყმას.

გიხაროდეთ!

ა—რსება ბ—იბლის
გ—ანგება დ—იდების,
ე—რთია ვ—არსკვლავი,
ზ—ეციურ თ—ალამდის.
ი—ნათა კ—არიბჭემ,
ლ—ალობენ მ—ოგვები,
ნ—აჭედი ო—ქროთი.
პ—ასექი ჟ—ღალური,
რ—უდინით ს—დუმან,
ტ—იტები უ—ფლის წინ.
ფ—იქრები ქ—ურუმთა,
ღ—ირსების ყ—ანები,
შ—ემოსილ ჩ—ადრებით.
ც—ხონდება ძ—ე ღვთისა,
ნ—მინდანის ჭ—ილოფში.
ხ—არების ჯ—ილდოთი
ჰ—მაღლდები მარიამ!

*

და ეს ყველაფერი ქართული,
ანბანის მიხედვით ბრწყინდება.

უფალმან ჩემმან...

უფალმან ჩემმან,
ნიკოფსიის გზებით მატარა,
მამული ესე მიანდერძა,
მზისებრ თაკარა,
დიდება ჟამის, -
ალავერდი, გრემი, ვარძია,
სამშობლომ ჩემმან მინანავა,
გულზე მარწია.
ნინაპართ ძვლები,
მოწამეთა, ბეთლემის კარი,
ვედრება ჩუმი, კელაპტრები,
სამყარო ცხადი,
ქართული ჯიში, ვაზის ჯვარი,
ტკბილი ღმერთები,
მშობელმან ჩემმან დამიბარა
სამშობლოს ჯავრიც.
მოწვეთავს შუქი,
განფენილი ზეთის სურნელით,
ალალზე ლოცვა, დილის მადლი,
სჯული უბელი,
რწმენის ბარათი, საკმეველი,
მამულის ხატი, ქართული ფიცი,
(ყველამ რომ ვიცით),
სულის ეტრატი და ათინათი.
უფალმან ჩემმან,
სიყვარული ამომჭრა მკერდზე,
ვით წნორის ხეებს,
გარინდებულთ წნულის მორევში,

ნათლიამ ჩემმან, დამანათლა
სიცოცხლე ჩემდა
და უფლის ხელმან
დამასახლა საყდრის ეზოში!..

თბავერცხლილი ცა-პირლიური

მარჯვენა
ხელი მკერდზე მიდევს, მარცხენა წიგნზე,
ქრისტეს წამების წიგნზე მიდევს გული და გონი,
ჟამის გნიასში, პალატებში და ცოდვილ პირზე,
გამოიარა წუხელ ღამემ სირცხვილის დრონი.

ეძახდა ხალხი...
ვერ გაიგო, ვერ მოვიდა ბერი თევდორე,
კი იქნებოდა დიდი შვება ღამისმთეველთა,
სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში ქარცი მეორე,
აღარ მიუშვეს უფლის დიად საკურთხეველთან.

გადაიარა
ქარბორბალამ, თან რა წვალებით,
მოწვეთავს ზეცა და ფიქრები მეყრება მთვარით,
ცისფერი ლამე რად მიყურებს გველის თვალებით,
არ ჩამომისხათ, არ ამიგსოთ ნალველი შხამით.

და განიბანა
ლვთისმშობლის ცრემლით მამულის ხატი,
ნუთუ შორია ნანატრი დილა, სხივი ლვთიური?..
განოლილია ისტორია ბრწყინვალე ჯვარით,
საღამოსპირი... თმავერცხლილი ცა- ბიბლიური.

მარჯვენა
ხელი მკერდზე მიდევს, მარცხენა წიგნზე,
ქრისტეს წამების წიგნზე მიდევს გული და გონი,
ჟამის გნიასში, პალატებში და ცოდვილ პირზე,
გამოიარა წუხელ ღამემ სირცხვილის დრონი.

დედაო მარიამ!

დედაო მარიამ, ჩემო ღვთისმშობელო!
დედავ წამებულო და ღვაწლით მოსილო!
როგორ დაითმინე, შვილი რომ გინამეს,
დედავ ნატანჯო და ძალზედ გულნატკენო!

შვილის ტკივილებით რა დარდი გაცვითე,
რამდენი იტირე, უხმოდ ცრემლებს ღვრიდი...
მანდილკურთხეულო, რა ტანჯვა იტკირთე-
დუმილით, თავსაფრით ქვეპიდან სისხლს შლიდი.

გემთხვევი ცრემლებით, შენს კეთილ კალთაზე,
ისევ მაპატიე, ბევრი გაწყენინე...
მწარე ტკივილები ცრემლად გაქვს თვალებზე-
გულით უფლის დედას - დიდება შეგკადე!

ღვთისმშობელო დედავ, დედათა დედაო!
გადიდებ მარიამ, დედაო ღვთისაო!

კაცების სვეტი

მშობლიური ჭიათურის ხედებს მოვეფერები,
გულს ახარებს კაცხის ხილვა, ცრემლი მომდის ღადარი.
სულ ვეძებე შენი მსგავსი, სულს კი შენ ენატრები...
რომ იცოდე, ვერ ვიპოვე, მხარე შენი სადარი!

კაცხის სვეტის ბილიკს მივყევ, მონატრებულ თვალებით,
აქ ქვის ღობეს ძველთა ძველი საფეხურით ავედი.
ცად ასულა ქვა სვეტისა, ძალით -უფლის ხელებით,
ცრემლი მომდის, კაცხის სვეტო, შენი შვილი მოვედი!

იმერეთის კაცხის სვეტი, ორმოც მეტრზე ასული,
სვეტის თავზე სალოცავი, უფალს მზერით შეწვდები...
სანთლის შუქი აღარც კი ჩანს, ისე ბრწყინავს უფალი -
დაილოცოს ღმერთის ძალა, კაცხის სვეტის ამგები!

სხვა ადგილის სალოცავებს, კაცი ღვთით აშენებდა...
ჭიათურის საგანძურო, უფლის ხელით ნაგებო!
კაცხის სვეტო, მადლიანო, შენ ხომ ღმერთი გაგებდა -
შენ გადიდებ, ძველო სვეტო, ღვთიურ ხელით ნაშენო!

ნეინდა გიორგი

წმინდა გიორგი თეთრო მხედარო,
ტანჯვა-წამებით „დალხინებულო“,
ვის შეგადარო, რას შეგადარო,
განგების ძალით გაბრწყინებულო!

დიდების რაინდს რომ გადარებენ
და რომ გინთებენ სანთელს მწუხრისას,
ქრისტიანები ჯვარს ატარებენ,
გიზიარებენ ნაფიქრს გულისას!

შემოგვედრიან ოჯახის სითბოს,
დედის ხელებით დანთებულ სანთელს,
ხვეწნა-ვედრება გვამშვიდებს თითქოს
და გევედრებით ჩვენსავე სათქმელს!

ქვრივი აანთებს სანთელს ხელებით,
შემოგავედრებს ნაჯაფარ შვილებს,
მოხუცებული ხველებ-ხველებით,
დაგალოცვინებს კვლავ შვილიშვილებს!

პატარა გოგოც სანთელთან ფიქრობს,
ღმერთს ევედრება შენი სახელით
და უბრუნდება სიმშვიდე თითქოს,
თან ეშინია თვალის გახელის!

ყველა წმინდანზე უფრო მძლეველო,
შენ ხომ სიკეთეს შუბით იცავდი,
ჩვენო იმედო და უძლეველო,
ქრისტიანთათვის რას არ იტანდი!

ღმერთი გაძლებდა ძალას უძლეველს
და ანგელოზის ხმით დაგძახოდა,
გათმენინებდა ტკივილს უთმენელს,
„მე შენთანა ვარ“ ჩამოგძახოდა!

წვერბასრებიან ბორბალზე დაკრულს,
მხოლოდ უფალი გყავდა იმედად,
ეხმარებოდა ამ ქვეყნად ჩაგრულს,
ამიტომ ღმერთმა არ გაიმეტა!

იმპერატორმა ბრძანა ბორბალი,
ეტარებინა აქეთ და იქეთ,
რომ არ ეგონე უკვე ცოცხალი,
უფლის შენევნით გადარჩი ისევ!

ხან გახურებულ თონეში გაგდეს,
ბევრი ეხვეწნენ „გაცსა და, , გაიმს“,
„იქნება ახლა ალარ გადარჩეს“,
მაგრამ ღვთის ძალით გადარჩი მაინც!

თეთრო რაინდო, თეთრ ცხენზე მჯდომო,
თავგანწირულო, ნუ მკითხავთ რისთვის?
ქრისტიანთათვის სიკეთის მდომო,
ჩემთვის და შენთვის, ამ ლამაზ დღისთვის!

დიდება გქონდეს იმედის, ძალის,
საქრისტიანოს ძალა აჩვენე,
შენ დაგვიფარე თვალისგან ავის
და ბოროტება გადააშენე!

პეთავან დედოფალს

ქართლში ქეთევანი დაიბადა,
კახეთს დაეწურა მკერდს მტევანი,
ცეცხლი მიებჯინა ზეცის კარს და
შაჰმა -- ანამეთო მზე მძევალი.

იდგა დედოფალი ცეცხლის ალში,
სიშიშვლეს მორცხვობდა ნაწამები,
სისხლი თუხთუხებდა ქართლის ძარღვში,
ძუძუს თავს ეყარა ნაწნავები.

თუმცა მოევლინა განსაცდელი,
მაინც რწმენით ათენ-ალამებდა,
რჯული ეძალვოდა გასაცვლელი,
მაგრამ, მაინც ლოცვას აღავლენდა.

იდგა ქალი თურმე უდრეკი და
მტვრევა იწყეს, როცა შუბლის ძვლებმა,
ანამებდა ვიღაც მუდრეგი და
იგი მაინც უფალს ადიდებდა.

იგი მაინც ლოცვას აღავლენდა!

თბილი ნინო

ქარი ქროდა და მოჰქონდა მთის სურნელი,
ვაზის ყლორტის ჯვარს თმით კრავდა წმინდანი რომ,
ჯავახეთით შემოვიდა ქართლს და მცხეთას,
მაყვალს გემო გაუსინჯა წმინდა ნინომ!

მართალ რწმენას ქადაგებდა, სწორედ მაშინ,
სიფრიფანა გოგო, მოციქულთასწორი,
მეფე მირიანს უსწრებდა მოქცევაში,
დედოფალი ნანა, მისი მზე და ცოლი!

და მოექცა საქართველო, ცად მზეს მისწვდა,
გზანათელი ამობრწყინდა სვეტის ფორმის,
ახლაც დგას და ყურს ჩამესმის ზარების ხმა,
მცხეთის გულში აღმართული სვეტიცხოვლის!

ქარი ქროდა და მოჰქონდა მთის სურნელი,
ვაზის ყლორტის ჯვარს თმით კრავდა წმინდანი რომ,
ჯავახეთით შემოვიდა ქართლს და მცხეთას,
მაყვალს გემო გაუსინჯა წმინდა ნინომ!

ԱՏԱՍՈ ԹՐԵԱՅՅ

Արեմլ-նարեց Տուիպագ, լեյլսագ, Տդրոյնագ
Ապա աղջազլունց լուցա մե...
Ռոցոր ճախուցէ ու գազուսընե,
Ատասո մոնամե.

Գրծել Ռուշո մօցարո, գուգո-քաբարա
Տուզգոլուս Շոմիչյ արշ կո գոյշրոծձա,
Եմլոտ Ելմո մօցարո, Շուշո ջալատո
Տարնմշնոյնուն Շեցուլաս օտեռովձա.

Միւզարս գաճաեցետ դա Շեյքոտետ,
Ռուցա գանցլոտ մեցենուս ենդտան
Մաս կարցագ աեսուցս, ար ազոնցուցենա,
Ռոցոր Շելենց ու ամ դլես նոտլագ.

დღევანდელ დღეს და „ნითელ პარასკევს“.

დღევანდელ დღეს და „ნითელ პარასკევს,
დამარცხდა სიკვდილი, ოყო გოლგოთა და იყო „ჯვარცმა“,
სერობის დროს და დღით „დიდ ხუთშაბათს“,
ამ დროს... იუდამ „იესო“ გასცა.

არ დაინდეს და არც შეიცოდეს,
ვინც მას იცნობდა, აქ გვერდზე გადგა,
ამ დღეს, „წამებით ის აღესრულა“,
კვირა დილით კი ის „მკვდრეთით აღდგა“.

„მამა ღმერთს“ კი, სიმწრით თვალზე,
ერთი მსხვილი...ცრემლი მოსწყდა,
ციდან რისხვა წამოვიდა,
ჩამოიქცა ზეცა მიწად.

ამ დღის მერე, ყველა ვამბობთ,
„ქრისტე აღდგა, „ქრისტე აღდგა“,
„ქრისტე აღდგა“,
„ქეშმარიტად“,
„ქეშმარიტად“,
„ქეშმარიტად“.

ვაღილებ უზალს!

მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ყველა ტაძარი,
ის ხომ უფლისგან ნაკურთხი და მადლით სავსეა,
ამ ჩვენს პატარა სამოთხეში ყველა სალოცავს,
უსასრულობის ზეციური სხივი არტყია.
საშველად გვიხმობს ტაო--კლარჯეთი,
ის დღემდე ისევ ჩვენი გულია,
გრიგოლ ხანძთელის სული მფარველობს
და იქ კვლავ ისევ გაზაფხულია.
ღვთისმშობლის წილხვედრ მადლიან მიწას
მუხლმოდრეკილი ვეამბორები,
არ გაგვიხმება ხე სიცოცხლისა,
გამრავლდებიან ქართლოსთ მოდგმისა.
მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ყველა ტაძარი,
ვადიდებ უფალს,
ყოვლის შემქმნელსა!

მოვილოცათ ქვათახევი

აი, ამ ტაძარს გაუმარჯოს,
მთები ამაყად რომ დასცექიან,
ზარების რეკვა რომ ცასა სწვდება,
სადაც ანგელოზთა დასებია.
სადაც მოჩუხჩუხე მდინარეა,
ჩიტს გაუმარჯოს მოჭიკვეს,
სიცოცხლე ასე რომ უხარია.
მამაოს გაუმარჯოს მრევლთან ერთად,
ჩვენი სულები რომ აბარია,
ჩვენი სიკეთით თუ შეცოდებით,
ღმერთთან რომ შუამავალია.

ტ 1 ၃

რად არ რეკავ, საქართველო, ზარებს,
რად არ გესმის განწირულის ხმაო,
დაგინგრიეს და წყალში ჩაძირეს
შენი წმინდა სალოცავი ტ ა ო.
შველას ითხოვს, მზერას შენსკენ აპყრობს,
დედის კალთას მოწყვეტილი ყრმაო,
ცხარე ცრემლი სცვივა ქართლის დედას,
დარდიანმა სიტყვაც ვერა სთქვაო.
მდუმარებით დაჟყურებენ მთები,
შავი ღრუბლით დაუბურავთ თმაო,
ჭირისუფლად დასდგომიან ტანჯულს,
მკერდზე ეწვით ჩაძირული ძმაო.
დაიძინე, არ შეშინდე, შვილო,
სუნთქვა თუკი გაგიჭირდეს, ტ ა ო,
მწუხარებით გალობს ღვთისმშობელი,
იავნანა, ნანა ნანინაო.
ვაი, იმას, ვინც რომ გაგიმეტა,
ასეთ ძილით ვინც დაგაძინაო,
ვინც მოგწყვიტა წინაპართა ფესვებს,
ვინც წაგართვა მშობლიური ცაო.
ვაი, იმას, ვინც რომ დაგანგრია,
ვინც გაცალა ფუძეს წმინდა ქვაო,
ვერც კი ხვდება, თავს რომ დაიტეხა,
დიდი ცოდვის ბობოქარი ზღვაო.
მტკიცედ იდექ, საქართველოს შვილო,
სამოთხის გზა ტანჯვით იღწევაო,

ბაზალეთშიც დგას გმირთა აკვანი,
მაგრამ დღემდე რწმენით ირწვაო...
ნისლი ბურავს ლამაზ ციხე - ტაძრებს,
გულს ატყვიათ ჭრილობები ღრმაო,
ღმერთო, ისევ გამაგონე, გვედრებ,
ტაო - კლარჯეთს, ზართ წერიალა ხმაო.

დღესაც დაჰკივის ქარიო...

ჯავახეთს, მთათა მწვერვალებს ეფინა ფიფქთა ჯარიო,
წმინდა ქალწული გამოჩნდა, ხელთ ეპყრა ვაზის ჯვარიო.
ფრთხებდახრილს შემოჰევეოდა წალმებად ნინოს თმანიო,
ბრწყინავდა უბრალოებით, ქედსა უხრიდნენ მთანიო.
გაოცდა, თოვლსა და ვარდა ერთად რომ მოჰკრა თვალიო,
შეიცნო, წმინდა მინაზე უფლისა ნატერფალიო.
უცხო ქვეყნისა სიტურფით მოხიბლულიყო ქალიო,
მოდიოდა და მოსდევდა ბნელეთის ქარიშხალიო.
მაგრამ ვერასა აკლებდა, რწმენის იცავდა ფარიო,
მტკიცედ დაჰქონდა წმინდანსა უფლის ნაკურთხი ჯვარიო.
შემოიარა მთა - ბარი, აკურთხა ბოდბეს წყალიო,
ქართველთ გაანდო რწმენითა, ღვთისმშობლის ნაფიქრალიო.
ააწკრიალა სამრეკლოს უფლის სიტყვისა ზარიო,
ტაძრად დაახოთო სანთლები, ღიად დატოვა კარიო...
სულიწმინდითა აღვსილმა ნათლად იხადა ვალიო,
აღთქმულ მინაზე დატოვა ქრისტიანობის კვალიო...
ჯავახეთს, მთათა მწვერვალებს დღესაც დაჰკივის ქარიო,
დღემდე აძრნუნებთ ავსულთა წმინდანის ვაზის ჯვარიო.

ძათევან ნამაჲული

ალი გიზგიზებდა როგორ,
როგორ დუდუნებდა მტკვარი,
ხმა ვერ მოგაწვდინეს ტყვედ მყოფს,
ვერვინ შეგაშველა მხარი.

შანთებს სიმხურვალის რული,
განა სისასტიკეს უშლის?!
მტკიცედ დაიცავი რჯული,
ქრისტეს ადიდებდი გულში.

დღეს ჩვენს სასოებას შვენის
ჩვენი უმთავრესი ვალი:
ვიყოთ კვლავაც მსგავსი შენი
ყველა ქრისტიანი ქალი.

თამარ მავა

მესხეთის მიწა ზეიმობს,
წარსულს ახსენებს ყველას
და თამარ მეფეს მზეთამზეს
ცა დაუგია ველად,
რომლის სითბო და ნათელი
ახლაც ატყვია მიწას,
ვარძიის გამოქვაბულს ხომ
მისი ხატება იცავს.

როს მიჰყვებოდა ლაშქარი
ის ფეხშიშველი ოდენ
ლოცვით და რწმენით გამთბარი
ღმერთს, ღმერთს უძღვნიდა ოდებს.
დღეს ახალციხეს ამშვენებს
მეფეთ-მეფე და ბრძენი
და ქრისტეს ჯვარით გვახსენებს
თან-იგავებით ძველით,
რომ ისევ მკვდრეთით აღდგება
გმირი ქართველი ერი.

სიამაყეა ჩვენი

ვინა სთქვა-ერის სიბერე,
ერს თუ ჰყავს თვისი ღმერთი,
დავით მეფე და ვახტანგი,
თამარი-ერთადერთი.
მეფე, რომ შეგეხვეწება
გულზე დამადგით ფეხი,
ეს იმას ნიშნავს, რომ ვიყოთ
ცის ნაპრალების მტეხი.
ფარნავაზ მეფის სიზმარი,
ენა ქართული გენის,
ჩვენი მეობის დასტური
და სიამაყე ჩვენი.
რუსთველმა დიდი პოემა
ქართველებს გვიანდერძა,
ქეთევანმა კი სიმტკიცის
ლეგენდა გამოძერნა,
კიდევ ვინ იცის, რამდენი
სული გაბრწყინდა ზეცად,
ჩვენ ჩვენი ერის სიბერე
მის უკვდავებად გვექცა.

რევენა ღილიხეის დავითიშვილი

ცამდე აზიდულს და უსასრულოს,
როგორ გიხდება მკვრივი გუმბათი,
მე რომ შემეძლოს მთელ საქართველოს,
ცის შარავანდით გადავხურავდი.

და ჩამოვრეკდი ყველა სამრეკლოს,
მიძინებულ მთებს სულს ჩავუდგამდი,
მტერსა და ორგულს უნდა გაეგო,
რა საოცარი რწმენით ვსუნთქავდი.

ო, რწმენა ჯვარო, გუმბათზე მდგარო,
მუხლმოდრეკილი გვედრი მავანი,
მხოლოდ შენ უწყი ქართველი ერის,
დიდი წარსულიც და მომავალიც.

და გვიმწყალობე ყოველი მართვე,
გაგვიმთლიანე დაჭრილი გული
და დაუბრუნე თითოეულ ქართველს,
რწმენა - დიდი ხნის დავიწყებული

დავით გარეჯს

უდაბნოს და დავით გარეჯს ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი გვეცილება, რაც ყოვლად მიუღებელია. ეს ძირძველი ადგილი და სალოცავი ოდითგანვე ქართველების იყო და მას არავის დავუთმობთ.

ჩვენს ამ ძირძველ უდაბნოში,
ჩვენს უნმინდეს დავით გარეჯს,
სანამ ჩვენად არ მივიჩნევთ,
არ დავარქმევთ თავის სახელს,
სანამ შვებით, როგორც აფრე,
არ შევაღებთ ტაძრის კარებს,
ჩვენთაგანი თავისუფლად
არ დაანთებს უფლის სანთელს,
დამიჯერეთ, არაფერი
ეშველება მანამ ქართველს!

გორიჯვარო

გორიჯვარო, გორიჯვარო,
მართლაც სასწაული ხარო,
როგორ მინდა, შენ კალთებქვეშ
კვლავ ბავშვივით გავიხარო.

შენ, წარსულის სინამდვილევ,
წარუშლელო უფლის კვალო,
მსურს ჩიტივით ამოვფრინდე,
მტრის თვალისგან დაგიფარო.

ათონის მთაზე,
მტრედის გუნდი დაჯდება როცა,
საგალობელი გაიშლება,
ზეცაში ბაგით....
ანგელოზებიც იჩოქებენ,
ტაძარში ლოცვად
და დრო ჩერდება!
ირინდება წუთები წამით.
ათონის მთაზე,
თავდახრილი ლოცულობს ბერი,
როგორც სანთელი,
ცეცხლის ალში, იწვება ღმერთთან,
უსიყვარულოდ, რომ არ დარჩეს
მიწაზე ერი
და ბოროტება არ გამეფდეს
არასდროს ჩვენთან.
ლოცულობს ბერი!
ლოცვის ძალა მთებსაც აერთებს,
მათი გულისთქმა
ერთი არის, სამყაროს შველა!
ჩვენი სულების გადარჩენას
უფალს ავედრებს,
რომ შევუერთდეთ სიყვარულით,
იმედს და რწმენას!

აცყურის ღვთისებრობლის ფაქტარი

ჟირაფისფერი კაბა რომ გმოსავს,
ჟანგისფერ თივთიქს რომ ადევს ხავსი,
ჰეგვარ ზეციდან ჩამოსულ მმოსავს,
თავზე რომ ხურავს გრაალის თასი.
მოვდივარ შენთან (არ ვგავარ მგოსანს),
შენზე მცირე და შენზე ხნიერი,
სოსანგეთიდან მოვყვები ფრთოსანს,
ანტიკურ ხანის ქალის იერით....
და კალთით მომაქვს სოსან-გვირილა,
მზემ რომ დაკრიფა შენთვის გზაშია,
მორღვეულ კედელს რომ შეგიქსოვო,
ღვთისმშობლის ქამრად და მზის არშიად!
თავზე გუმბათად უფლის მზე გადგას,
კალთამორღვეულს თოვლსა და ქარში,
ანდრიას ძველი სახარება ხარ,
ჩუქურთმად ჭრილი ფიქალის ქვაში.

შავი მარგალიტი

იდგა მაშინ მეჩვიდმეტე საუკუნე,
წელი იყო საუკუნის ოცი
და მუხრანის სადედოფლო სანახებში
მნიშვნელობდა, შავდებოდა მოცვი.
გრემის ახლოს დაუვარდა მზეს მტევანი,
(მზესაც ჰქონდა, თურმე, ცრემლი, დარდი),
სულთათანას ლოცულობდა ქეთევანი, -
კახეთიდან შორს, შირაზის ვარდი.
ისჯებოდა საქართველოს დედოფალი,
სიკვდილის წინ აღავლენდა ლოცვას,
საწნახელში თავს იკლავდა რქანითელი
და ცრემლები მოსდიოდა მოცხარს.
გათენდა და რა გათენდა, თუ გათენდა?!
ზეცას ჰქონდა ისევ ლამის ფერი,
დაღამდა და არ დაღამდა!-გადათეთრდა...
ავარსკვლავდა ზეცა ნათლისფერით!
აალდა და რა აალდა, დაიშანთა,
აღარ კვნესის წამებულის გული,
ისმის ღრენა და ყიუინი შაითანთა
(კრულნი იყვნენ, კრულნი იყვნენ, კრულნი!)
მაგრამ, ჰოი, ღმერთო! - შენი საოცრება!
გადმოფრინდა ციდან ორი გვრიტი,
ცეცხლში იწვის საქართველოს დედოფალი
და ანათებს შავი მარგალიტი!.

2020 მეცნიერებლი

ხერთვისული

(სინამდვილე ლექსად)

მზე, მესხური ტერასები, ვაზი, ყვავილნარი,
ვერხვებიდან ჩამოცლილი ყვავილების ბურდა,
ლურჯი ავტოს ღია სარკმელს ურცხვად ეტანება,
სტუმარს სულ არ ეკითხება, სასუნთქად თუ უნდა.

გზიდან მარჯვნივ, მედიდური, ხერთვისული ციხის
ასწლოვანი ქონგურები აცკეტურად ხურდა
მზის გულზე და ასასვლელთან, სახლის ერდოს თავზე,
თეთრი კატა უდარდელად, თვალმოჭუტვით დუმდა.

ქვაფენილით ავუყევი გზას, თან კეკლუც ხედებს,
(ვინ გაბედავს, სულ ოდნავაც, ვინ დაუდებს წუნს და)
ხარბი თვალით, კამერიდან გამოვსტაცე წამი,
(სადღა მახსოვს ვერხვებისგან დასეტყვილი,,ჰონდა!„)

ციხის ეზოს ჩავუყევი და ხნიერი ქალი, მიხსნის:
იქეთ კარს ხომ ხედავ, იქ გაძვერი, ჰოდა,
ცოტა ცუდი გზა კი გადის, თუ არ შეშინდები,
სამლოცველოს მიადგები–შემომცინის ხინდა.

და ღიმილით მიმაცილებს ახალგაცნობილი,
მეგებება ღვთისმშობელი და გიორგი წმინდა.
არც მესანთლე, არც ასანთი, მხოლოდ მე და ღმერთი,
სანთლები და აღარც უკან მოსათვლელი ხურდა.

ვდებ ქაღალდის კუპიურას, ცოდვებივით ნამდვილს
და ხუთ სანთელს, რომ ვერ ვანთებ, (დარდისაგან ვხურ და),
ჩანთაში ვდებ, მადლი მაინც გამოყვება, ვიცი,
წავილებ და აქ ჩასათქმელს, შინ ჩავუთქვამ, თუნდა...

ვტოვებ მხოლოდ გულისთქმას და ყელს მოწოლილ ცრემლებს,
მოვდივარ და მაგონდება: ეჰ, რამდენი მსურდა
მეთქვა კიდევ, თუმცა ღმერთმა, ისედაც ხომ იცის,
ალალ ცრემლებს, როგორ უნდა დაუბრუნოს „ხურდა..”

მოვპერივარ და ალარ ვჯავრობ ვერხვის ანც ყვავილზე,
ქარმა ღია სარკმელთან რომ მოწენა და ბურდა,
იქ ერდოზე ჩათვლემი კატა მახსენდება, თეთრი იყო,
განა შავი?! საიმედოდ სდუმდა!..

მანანა მიქაელი

იხსო!

მზით გამთბარ ბეთლემს შობილი იესო გაპრეყინებულა,
დედასთან მიხუტებული სითბოში მიძინებულა.
ახლოს კოცონთან მწყემსები ხუმრობენ, არაკს ჰყვებიან.
აზე ვარსკვლავის კაშკაშით ჰკვირვობენ, თან ცვიფრდებიან.
ვარსკვლავ ნათებას მოჰყვება, შორიდან მოგვთა მისია.
ჩქარობენ, ძღვენი მიართვან, ძვირფასს ელოდნენ მესიას.
ბეთლემის გამოქვაბულში წმინდანი თავშეფარულან.
ოცდახუთ დეკემბრის ღამეს იესო დაბადებულა.
კოცონთან ღამის ბინდ-ბუნდში, კაცი თხოულობს მუგუზალს.
უხსნის მეცხვარეთ, ბეთლემში იესო დაბადებულა!
აცეკვებულან ვარსკვლავნი, ცა მოჭედილა ნაირფრად.
ისმის ზეციდან გალობა, ანგელოზების ტკბილი ხმა!
მწყემსები წამოემართნენ სიმღერითა და ლამპრებით.
ზეციდან მოაცილებდათ ტკბილი ხმა ანგელოზების!
და...მიეახლნენ ბეთლემში ღვთის პირმშოს, სათუთ იესოს.
ზღვა სიყვარული აკმიეს ზეიმითა და ლოცვებით.
ჩვილს შარავანდი მოსავდა ზეციერისგან ნაბოძვი!
უცხო ნათებით ბზინავდა ბეთლემს იესოს მოვლენა,
ღვთისმშობელს უკრთის ცრემლები იესოს მომღლოცველებთან!
ბედნიერების ნაწვიმი ებნევა ბრილიანტებად!
მალე მოგვებიც ესტუმრნენ მოკრძალებით და პატივით,
გარს შემოუსხდნენ პატარას უგალობეს და იხარეს!
ჩვილი დალოცეს, აკმიეს ზეციურ მამის დიდება.
ძვირფასი ძღვენი მიართვეს კაცობრიობის მესიას!

ზაზა მონავახეისაშვილი

სიკვდილო, შენი ჭირიმე,
სიცოცხლე ფასობს შენითა!
(ვაჟა-ფშაველა)

სამების თბილი განზრახვა,
ბაასი, შექმნის მოტივი,
მიწა, ადამის ღმერთ-სული,
ცხოვრება არის სულგრძელი.
ნაყოფი სიკვდილ-სიცოცხლის,
ღირსება უფლის სახელით,
ქალწულის მსგავსი დიდებით,
გარდაცვალეთ უფალში.
და აპა, გავხდით მის დარად,
ბედნიერ სულით ხორცამდე,
გემო შევიტკბეთ სიკვდილის,
ცნობადი ხილის ნაყოფის!
მოგვმადლა მადლი მსგავსების,
სიკვდილი, როგორც სიცოცხლე,
ხარობს და იღწვის უფალში,
სიკვდილი არის წინარე,
ფერიცვალების სულს სითბო!
ვარდისფერია სიკვდილი,
გზა უფლის კართან მიმსვლელი.
ჩემს გვარს ვარდია აღდგომის,
სურნელი უფლის საფლავის.
გარდაცვალება ჩვენი არს,
ახლის შექმნის და ძალისა.

დაბადებაა გულს სითბო,
გალაქტიკების ძალისა.
ტრიადის გულს სიყვარული,
სახეცვლილ გულმოსილების.
სიყვარულია სამყარო,
სიყვარულ გულგაფლეთილი.
ენით უთქმელი რამ არის,
სატრფოა თვალით ხილული.
უმანკოება სულს მტრედი,
უჟამო ჟამის მხილველი.
სიბრძნე გველისა შემცნობი,
ნინარე დროის განზრახვა.
მეფური არის დიდება,
მამა სიცოცხლე მშობელი.
ქრისტეს ძე მხოლოდ შობილი,
ადამის შექმნა სიცოცხლე,
კეთილ-ბოროტის გარჩევით,
გარდაცვალება მზის გული.
იესოს გულში გასული,
მასმინე გაუგონარი,
აღდგომა გვამის პირველის!
სიკვდილით მარადისობის!
შემოსვლა დიდი ზეიმი!

მამაშვილური

შვილო, ხელს გიწვდი, იხილე!
შენს კართან ვდგავარ, ისმინე!
ბნელმა არ გშთანთქას, იფრთხილე!
მომყევი გულით, მიხილე!
ადამის გენი იტვირთე,
შეგიმსუბუქებ, იტკბილე!
მხიარულებით მიხმიე,
გამომეძიე მიღმიერს!
არ შეგეშინდეს დაცემის,
აღდგომაშია სიმთელე!
ფეხთ მდგარი არ გაამაყდე,
დაცემულივით იარე!
სულაც, რომ ეშმამ მოგიცვას,
ჩემი იმედით ინათე!
ძმასაც აუნთე სანთელი,
გონს მოუხმე,
აზროვნება ახალისე!
გულის ციხე დაანგრიე,
გარე აღთქმა აფაქიზე,
შენი ნება ჭირვეული,
მოიკვეთე, მოიძულე!
ჩემი ნების მდევარ იქმენ,
თავი შენი აიძულე!

აღდგომა პრისტესი ვიხილათ!

ქრისტე აღდგა!
ადამს წარსდგა!
წყება დადგა სიცოცხლისა!
ბნელი ჩაქრა,
სიკვდილ გაქრა,
გარდაცვალა ღმერთის სისხლმა!
აღსრულება განცხოველდა,
დაებეჭდა ყოველ ქმნილსა!
ამის დღისა ძლიერებით,
გაერთდება ცა და მიწა!

გ ა რ ტ ვ ი ლ ი

(ქეთევანს)

ღამეშ ცაზე მუგუზლები აყარა.
წარინუმიდნენ, წუმნუბითა კეტავენ
სიამის ბალს. სათნო შერჩათ აღარა:
„-მარტვილ იქნე, მარტვილ იქნე, ქეთევან!“
დე, სასულეთკარიბჭენი დარაზონ -
არ მიირქვან სამშვინველი ახალი;
ნუც ათრობდეთ ბოსველია და რაზდონ,
ღრაჭათ გორა... ქარავანი... აღალი...
სეფისტინი გაუშლიათ, იქ, ორთა.
ბრძანებანი აღიხუნეს რა პირად!
რად მზის სხივებს განს აძლევდა იკორთა...
-რაბი, რაბი, შეეშველე, რაბი! რად...
ვით ეგონა - მოწამესა დალლიდა
საჩხრეკელით ემისართა შეხება!
-გაიყიდე შებრალების დახლიდან...
ნეტავ, ასეთს რას უშძლიდი შაჰ-აბასს?!
ჩაუხერგეს სასულეში სალაგმე...
ხორცსა, გვემის მიაფარეს, საბანი;
(სანადიმო გაიშალეს, სეფანი;)
„ილი, ილი...“ სულსწრაფობით ალაგმეს;
შვილის შვილთა გარდაუცვეს სებინი*...
მდუმარების იმუშავეს, მუშებმა.
-შენც არ დაგცდეს, ხმა არ დაგცდეს, პოეტო...
გინდ სიჩუმის მიიფარე, მუშამბა...
მწუხარება არ მოჰვაროს პიეტომ...

ცრემლი მოსდით სანთლებისა, რაფათა.
-შესაცოდი ერთი იმათ ჰყოლიხარ.
შევერცხლილი, დაეღმიჭა, რაფათა
უნდილაძეს, - უნდილ იმამყული ხანს.
ხმა, ზეწოლის, ყაბულ არ არს, - ტაბუ ცნას.
ხმელზე წოლით „ქრისტესია საცოლე“...
არ იხმევდა ცრუტსა, გინა- ტაბუცუნს;
ლრეკილია დაღრეკილი საწოლით.
-გაგაშიშვლეს, ფერდით ფერდსა ეკვროდი,
ჯალათები მოედანზე ათევენ.
სახე, - სათნო, დაგიშანთეს, ეგ მკერდი-
ქვეყნის დარად დაგინინკნეს, ქეთევან!
ნაგლეჯ ხორცზე შემოაწყვეს საჯები.
ამოსუნთქვას თუ უთვლიან, რა ეულს,
საჟამნენი, - დროთა შულტნი, მსაჯები.
სიცონილი არა ჰქონდათ რაულად!
მკერდში ცხელი გაუყარეს, მახათი,
ააწინკნეს უწყალობლად მას კერტნი-
მოიმზყვდიეს მარწუხების მახეთი.
გალობისა, ბულბულთ იხშეს, ნისკარტნი.
ვერ გატეხეს, - ოხვრასაც არ ურიგებს;
მშვილდისა, ყელს მიაგებეს, საბელი;
შეაყარეს სანეშტენი ურიკებს,
მარტვილობას მოატარეს სოფელი.
„ხორში და დანეშტებული“ ფართეა;
სვეტთა შორის მოთმინება დაგორავს...
მშრალი ძვლები გამოსტაცეს პართიას, -
უნაწილეს ნამიურსა და გოას.
ღამემ ცაზე მუგუზლები აყარა.
ნარინყმიდნენ, ნუმნუბითა კეტავენ
სიამის ბალს. სათნო შერჩათ აღარა:
„-მარტვილ იქნე, მარტვილ იქნე, ქეთევან...“

მანანა მარიაშვილი-გვარიშვილი

პრისტის წამება

გაყიდეს ქრისტე, უღვთოდ აწამეს,
სიმართლე არ სცნეს მისი არადა,
ის სიცოცხლისთვის ითვლიდა წამებს,
წმინდანის სხეულს სისხლი ფარავდა.

ჭეშმარიტება დაუგმო ყველამ,
ჯვართ აცვეს, არვინ არ შეივრდომა,
სულს უმტკიცებდა სიმართლის რწმენა,
თუმც არ აღირსა საშველი ბრძომა.

მხრებზე დაადვეს მას მძიმე კვარი
და დააყენეს ცოდვიან გზაზე,
როზგებით სცემეს და ცოცხალ-მკვდარი,
სიმართლისათვის გააკრეს ჯვარზე.

სამყარო შესძრა იესოს კვნესამ,
ტანჯვა, წამება, ლურსმანი, ჯვარი...
როცა ზეცაში ქრისტეს ხმა ესმა,
ციდან ჩამოჰკრა უფალმა ზარი.

შე-უარ-ჰელ ხალხმა იესო
და მიაბარეს საწყალი მიწას,
მესამე დღეს კი მამა უფალმა,
წათელი სხივი მოჰფინა ციდან.

და გზა გაეხსნა იესოს ნათქვამს,
ნიშნად დაეტყო ყველა იარა,
ის სამარხიდან სასწაულ აღდგა,
შიშველი ფეხით ბევრი იარა.

ხალხს უმტკიცებდა იესო ნათქვამს,
განკურნა ბევრი ტკივილ-იარა,
ხალხი ემთხვია იესოს კალთას
და უკვდავ ღმერთად ის აღიარა.

ყველამ ვირწმუნოთ, ვიწამოთ ღმერთი,
ყველა ასრულდა, რაც ქრისტეს უთქვამს,
დღეს მისი ძალით ცოცხლობს სამყარო,
დიდება უფალს!
დიდება უფალს!

სანთელო, ინვი!

სანთელო, იწვი, ვით უწყის წესი,
გულზე ცრემლებად დაგდის წვეთები,
ასე კეთილი და უწმინდესი,
ასე მდუღარედ რად იღვენთები.

კრთის და ფარფატებს, იწვის სანთელი
და უფლის ნებით დნება ცრემლებად,
ზეციდან მოსჩანს სხივი ნათელი
და სულს იმედად თავზე ევლება.

მარად და მარად ყველა წმინდანის,
ყველა ხატის წინ სანთელი ენთოს,
შენ სათაყვანოდ, შენ სადიდებლად
დიდება შენდა, მაღალო ღმერთო!

ԱԾԾԱՅԱ, ՔԱՄՐԵՎՑՐ...

ոտեմածատս ապացու արլազանո,
Կռագա-մագլո միև յվեժ ցայրիօա,
արհեցանու Ֆյոնդա, արաճանու,
մացրամ ման լալացո առիօա.
Տարասկյա ապացու յրուստյուսելա,
մամամ ზեցաս Շվոլո ցանցոա,
թոցմա յարպու դա թոցմաց դացմո,
թոցու, մուսցան ցանչյ ցանցօա.
ցանա, ար ուղուց ցանորացնյ՞!
ցանա, մուլալացո ար յւցնյա՞!
Շվելա մամասաց յո արա ստեռցա,
տացու արացուցան դայցուօա...
յցորաս նատլուս ևցեցու ալոմարտա,
մամա, յց լմերտու դա ևյուլոնմոնդա,
ևյուցուլս Շեյմյուսրա ևյուցուլու դա
մոննա լուցուսացան ցանոնմոնդա...
Ֆուդա, մանամ Ֆյուցացուս ոյւդաս եյ,
մանամ օմուսենա արլազանո,
սանամ յրուստյուսելա ոպացուլյեծ,
րագրան յոյալս ցարցետ արաճանո...
մանու Շեցցունդու դա դացցունցու
յցարո լուցուտացան մյեսամրուդագ,
ալդցա, ծագոնյենա, յրուստյ լմերտո!
ալդցա, նամցուլագ դա ֆյումարութագ!

გარეჯი

გუმბათნაფრესკალი, ტაძრებნახატარი
ლავრაგაძარცვული, კედლებნახანძრალი,
იდგა გარეჯი და ფიქრებატეხილი
კლდეებს ღორლად შლიდა ფიცი გატეხილი.
ხევებამომშრალი და მთებნამეწყრალი,
ზეცამოქუფრული, თითქოს შემომწყრალი,
ჭიშკარმოგლეჯილი, თაღებდაღებული,
ღმერთის ანაბარა, კაცხელაღებული...
სულამლვრეული და რწმენააჩეხილი,
ენაშერყვნილი და ანბანგალახული,
ფესვებს მოწყვეტილი და გენგამოხრული,
ქვაში შერჩენილი სული არნახული...
იდგა, ვით ზმანება, შორით დანახული,
სმენადახშული და თვალებდაბლარული
ნაერალი ერის, კაცი ნაკაცარი,
გარეჯს შეჰყურებდა, სტომაქგაბადრული.
ქართულ საგალობელს სმენადანატრული,
იდგა გარეჯი და იმედდაღადრული,
უფლის ანაბარა, ცაში აღმართული,
ნარსულს გაჰყურებდა წელში გამართული...

სვეტიცხოველო!

„სვეტიცხოველო“, ცხოველო სვეტო,
ყველაზე წმინდა, ყველაზე მეტო,
უფლის კვართისა მფლობელ-მტვირთველო,
კურთხეულ მიწას მდგარო, ძირძველო,
მამა ღმერთისგან განდიდებულო,
სულიწმინდითა გაბრნყინებულო!
ძელო, ნაძვისგან გთალეს გრძნეულის,
განმკურნებელო ყველა სწეულის,
ხარ მიწის და ცის დვრიტად ქცეული,
ღვთისგან ნინოთი განცხოვლებული,
ცას დაკიდული, ცეცხლ-შუქმფინარე,
მადლით აღსავსე, მირონმდინარე,
უტას მარჯვენით ატატებული,
შენივე კვარცხლბეჭას დაბრძანებული!
„სვეტიცხოველო“, ერის მრჩეველო,
შენ საქართველოს გადამრჩენელო,
მრავალთ ტვირთმძიმეთ, მაშვრალთ სამრეკლოვ,
სიყვარულის და წმინდანთ სამჭედლოვ,
დიდება შენდა, ტაძართ გვირგვინო,
ქართული გენის სისხლის ყივილო,
„სვეტიცხიველო“, ცხოველო სვეტო,
ყველაზე წმინდა, ყველაზე მეტო!

პოლიტიკური მონასტერი

იქ, სად კრძალვით გადაჰყურებს ტყეს ტაძარი ცოდნის,
აღმართულა უწმინდესი მონასტერი ბოდბის.
სად იკვეხნის სინარნარეს ნაძვნარი და ვერხვი,
თურმე ნინოს დაუდგია თავის წმინდა ფეხი.

გზები მარტოს გაუკვალავს, შეუშრია ცვარი,
მცხეთის შემდეგ აქ მოსულა თავის ვაზის ჯვარით.
უქადაგა ქრისტეს რჯული კეთილსა და ბოროტს
და ძილი და განსვენებაც აქ ირჩია ბოლოს.

მის სახელზე აგებული მონასტერი ბრწყინავს,
აქ ჩვიდმეტი საუკუნე ნინოს ტკბილად სძინავს.
ვინც ნატრულობს მიტევებას ღმერთისაგან ცოდვის,
თვისკენ უხმობს უწმინდესი მონასტერი ბოდბის.

გზას გვინათებს უფლისაკენ, რწმენას გვმატებს ხვალის
და გვიფარავს ბოროტისგან წმინდა ნინოს ჯვარი.
სად არ წყდება ხმა გალობის უფლის ქება-ხოტბის,
აღმართულა უწმინდესი მონასტერი ბოდბის.

ქვეთავას დედოფლის

კალათებს უყვარო ოქრო და ვერცხლი,
გასალენია მოთმენის კალო,
დიდ მოედანზე დაანთეს ცეცხლი,
შენ რომ განამონ დღეს, დედოფალო.

რომ მოგახვიონ ყელზე მარწუხი
და დაგიშანთონ მთელი სხეული,
ბოლო წუთამდე თავზე არ სწუხდი,
გრძნობდი, სამშობლო იყო სწეული.

ტკივილი სადღაც შორეთში იწვა,
გულმა იარა ვერ მოირჩინა,
ღმერთს ლოცვით სთხოვდი, მშობელი მიწა,
ამ მტარვალთაგან გადაერჩინა.

ქრისტე არ დაჰგმე - ჩვენი მესია,
რატომ არ ქრები ცოდვისგან, ალ!
მტერი მუმლივით შემოგვესია,
შენ კი ამაღლდი ყად, დედოფლალ.

մկրանքութեաս, առ ճացւճա կանչեա,
տաւթի յու գելու ճացելուրց բալու,
ճռես պաշտա վարութեալս մասուրս Տյոնճաւս նյեսագ,
առ Շիշիզալոս բնմենու յին-կալու.

არ განიბანოს ჩაუქრობ ცეცხლში,
ყველა მზაკვრობას რომ უთხრას არა,
არვინ გასცვალოს ოცდაათ ვერცხლში,
ღმერთი, ქრისტე და მთელი ქვეყანა.

ჯალათებს უყვართ ოქრო და ვერცხლი,
გალენილია დღეს ცოდვის კალო,
დიდ მოედანზე გიზგიზებს ცეცხლი,
შენ კი ამაღლდი ცად, დედოფალო!

უფალს...

ერთადერთი შენა ხარ,
ჩემი ხორცის ხელმყოფი.
ნეტავ, ერთი გენახა,
შენს მტერს ერთიც ვეყოფი.

ეს რა ტრფობა გადამდე,
გულს რომ მითბობს ესოდენ.
შეგიყვარე ცათამდე,
ვიდრე ტალახს მესროდნენ.

მაცოდინა ნეტავი,
რა სჭირს სულის მათარებს.
სული გაუხედნავი,
ეკლიან გზით ატარე.

შენა ხარ ერთადერთი,
რომ გაღმერთებ ესოდენ.
მომიტევე, შემინდე,
თუკი რამე შევცოდე!

მივალ, მივეახლები,
მამა-პაპის საძვალეს.
ჩემი ნება-სურვილით,
განა ვინმე მაძალებს.

ალბათ ბოლოს სიბერე,
თუ დამთრგუნავს ესოდენ.
ვერა, ვერ დავიჯერებ,
ჩემი რომ არ გესმოდეს.

ხორცს შევწირავ საძვალეს,
შენით შექმნილს ინახად.
სულს კი დიდ სამსჯავროსთვის,
შენთვის შემოვინახავ!

ՅՐԿԱՍ ՑՈՂՈՎԱՅ, ՏԱԹՎԱՐՈՅ!

Ռ--արովուրոծ յարո հիշմագ հիալեցնո,
ռ--րագ ցապո Շեմովմեցմա սամպարո,
Ծ--ետլումս, զարսկալաց Շեքպուրեցն օմեցոտ,
Ա--հյութիւն ցապոնուլո „ցերա նյարո“!

Տ--ասճաղլո նաեւս լամոտ ծացանո,
Ց--առցեցնաս զեր մալացեն մենցեմսենո,
Ո--րոշրայս, Շեքեարուն „մեսուս“,
Ը--ածորունուցն Շեսեզուն մերցելենո!

Ո--ցնեցնուս աեցենցնուս դրո դագցա,
Ց--եցելո ծյսեարս ուսյ հիանցուցնուցա,
Ա--եցցես դա ցուս կուցուրնեց օմ դոլոտ,
Ց--արսկալացտ-ջարո մտցարուս յոյերեցնուցա!

Տ--առցարո դրո դաշցա սամպարոս,
Ա--լարացոն լուրդա սկաց արագրագ,
Բ--ագլունծ Շեն, լմերտո, օմ նյուցենուտուս,
Ս--ցելաս սուլնո, լմերտո րուցա ցան-կացնա!

Ա--ծցուրուցնուլ յարենտ Շույլո լցուուրո,
Ռ--ուցա ցանց սեմու Շեմուցուտա,
Ծ--ցուցանուտոսա ցեկեմներոսա նաեւս դա
Ց--արսկալացնո ցանմալուս ոյեցենուն!

ჩვევი ბატრიარები

ყოველი დღე გოლგოთის გზას გადის,
ამ ყველაფერს სიყვარულით ფარავს,
თითოეულ ჩვენთაგანის დარდი,
ადარდებს და დარდობს რჩეულთ დარად.
ხედავს, რაც არს მიღმა ღრუბლის ფარდის,
ხედავს, მზე ვით ათბობს ნისლის კარავს,
ყოველი დღე გოლგოთის გზას გადის,
ამ ყველაფერს სიყვარულით ფარავს.

შობა

მოდის ის, ვისაც მოველით,
შეუცნობელის მჭვრეტელი,
დაფარულ სიბრძნის მფლობელი
და წყარო დაუშრეტელი.
ცა საწერ ეტრატს ვამსგავსე,
ვამსგავსე, ენა დამება,
ბეთლემის ღამით აღსავსე
შემოდის იდუმალება.

ხეილა ნინო

ნ- უ ვიქწებით ურწმუნო და უსულგულო,
ი- მედია ხვალინდელი დღის სუნთქვა...
ნ- ინო წარსდგა ჯვარით ხელში იბერიას,
ო- ო რამდენი გაანათლა ჯვრის მადლმა...
სვეტიცხოველს რომ აკურთხეს ჯვარი წმინდა,
ღვთისმშობელმა ნინოს მისცა კურთხევა...
ვალმოხდილი წმინდა დედა სიდონიას,
უფლის კვართი უნათებდა მას გზა-კვალს...

განეანა

ღამეა, წყვდიადი, ცივა,
არ იმჩნევს სიცივეს დილა...
თენდება, რიურაჟი მხიბლავს,
ვერ იტანს ეს გული ყინვას...
ცაზე ნათელი ჩნდება,
ყინული უსათუოდ ლღვება,
მდინარე იორდანეც ღელავს,
სიმშვიდეს სიამე ჰყვება...
რა სასწაული დგება,
ცოდვების განბანა ხდება,
ცის კამარაზე მტრედიც
ანგელოზებთან ცეკვავს...

აღდგომა

აღდგომაა, უფლის მადლით ვივსებით,
მარადიულ ცეცხლის ალს ველოდებით...
სულინმინდის ანგელოზი დაგვნათის
და საოცარ ნეტარებას განვიცდით...
- გვიხარია ამ ცხოვრების საწყისზე
მარადიულ ცხოვრების გზის კარიბჭე,
ანგელოზთა დასის სულის საუნჯე,
უფლის კვართში მოელვარე სინათლე...
- და გადმოდის ღვთაებრივი ეს ცეცხლი,
გზას გვინათებს ამ ულმერთო ყოფაშიც,
ღმერთო, იხსენ საქართველო ტანჯული,
ღვთის მოშიში, მაგრამ ბევრ ჭირ-ნახული...

ვერიცვალება

ფ- ერიცვალების უშრეტი მადლი,
ე- სალბუნება გულს,
რ- ადგან ლოცვებით გავითავისებთ,
ი- ესოს უწმინდეს სულს....
ც- იური მადლი მოედინება,
ვ- არდს ის ცვარნამად ჰრგებს,
ა- მგვარად ხიბლის სინაზის ხილვა...
ლ- ამის მაგიურებს მეც...
ე- ს მრნამსი სულის საწვრთნელს ამზადებს,
ბ- ედი სხვაგვარად დუმს,
ა- მ ყოველდღიურ ვარამს ვერ იტანს,
ფერიცვალება სურს...

* * *

მაღლით ტახტრევანზე იჯდა მამა ღმერთი,
წმინდა ანგელოზთა გუნდი გარს ეხვია,
სწუხდნენ ყველა ერთად ადამთა მოდგმაზე,
ცოდვის ბურანში თუ როგორ გახვია.

თითქოს წმინდანები ცრემლებს ვერ მალავდნენ,
კაცთა ცოდვანი სტიროდა მათში,
ცხრა თუ უარყვეს და დაივიწყესო,
იქნებ ერთი მცნება დაიცვანო ათში.

ბრძანებს უფალი მიმტევებლობას,
შეუნდეთ ყველას მისი ცოდვანი
და ხალხს ასწავლეთ ძმობა, ერთობა,
სიყვარული და წრფელი ლოცვანი!

დიდი არს წყალობა უხილავ მამის,
ცოდვით შეცივნულს მივხედოთ სულებს,
გულწრფელობით და მონანიებით
ღმერთი გაგვითბობს სხეულს და გულებს.

ხათუნე ტაბატაძე

დუმდა იისო

ფრესკაზე დუმდა, დუმდა იქსო,
თვალებზე ცრემლის ღვარი სდიოდა.
„სიწმინდე რომ არ მაპატიესო“,
კაცთა მოდგმისგან გული სტკიოდა.

ჯვარცმული იყო ქრისტეს განგება,
ენამა ყოვლის გადასარჩენად.
სამყაროს როცა ძალა აჩვენა,
არ მოისურვა ჩვენთან დარჩენა.

არც იუდაზე იყო ნაწყენი,
ოცდაათ ვერცხლად როცა გაყიდა.
ეკლის გვირგვინის ედგა სარტყელი,
როცა ურნმუნომ ჯვარზე დაკიდა.

ის მაინც აღდგა, რადგან არ ჰეგავდა,
დაბლა დარჩენილ ჩვეულ მოკვდავებს.
„უფალი გწამდეთ“, კვლავ იღალადა,
სანამ წამებით მაინც მოჰკლავდნენ.

სდიოდა ქრისტეს ხატებას ცრემლი,
რაც გულში რწმენის ნიშანს ბადებდა.
სიკეთე გახდა, თვით გადამრჩენი,
მოკვდავის გულში რომ იბადება!

მონაზონი

მტრედისფერად შეღებილა ზეცა,
ანათებდა მზე და სულში ციოდა.
მუხლმოყრილი შეამჩნიეს მონაზონი,
ცრემლიანი ლოცულობდა სიონთან.

მრევლს ტაძარში მიპრძანება გაუჭირდა,
გაბრიელის ხატს მირონი სდიოდა.
დამდგარიყო ბოლო ჟამი სამყაროში,
განწირული ჭოტი მძიმედ კიოდა.

დაგვიფარე, ღვთისმშობელო მარიამო,
მუხლმოყრილი მონაზონი ტიროდა.
სული თითქმის გამოფრენას ღამობდა,
ცოდვით სავსე ძველი საპატიმროდან.

დაუძლურდა ერი, მაგრამ მოწინებით,
ლოცულობდა, უფალს სთხოვდა ვედრებას,
გულში რწმენა ისე ჰქონდათ ანთებული,
სჯეროდათ, რომ ბნელი ღამეც თენდება.

მტრედისფერი დასდებია თითქოს ზეცას,
წმინდა ხატებს კვლავ მირონი სდიოდათ,
შეამჩნიეს მუხლმოყრილი მონაზონი,
ჩვენი ერის გადარჩენას ჩიოდა.

ՇՈՏԱԼՈ ՑՅԱՐԱՅԼԵՍ!

ար դավուզոնց պոտ շոտալո,
սաֆաց ար յոնդա զոյոտ.
Կայլան գասեսովագես շոտալո,
գոնդ գոնդ, գոնդ դամյ օյոռ.
Ծմերտուս օմեգու սուլ գայկոնգես,
շոտալո ար գացնուրացս,
կայլան տու զեր զածերեծեծտ,
կայրաս սանտելս եռմ շնորազտ?!
Սանցագելս շոտլուս գարեժյ
զեբագոտ, զեր մովնց գոնդոտ,
սալուցազագ րոմ մովգուարտ,
կայլան ոյ գաչեցագ լմերտո.
Գուլուտ զոլուցոտ պայլութուս,
լուտուսմնոնձլուս եագուս ցանցամցես,
դանցնարցեծուլու րաց շոտալս զտեռցոտ,
սուլպայլա նագրա ածցես.

არ დავივიწყოთ უფალი

არ დავივიწყოთ უფალი,
ამაყად გავყვეთ უფლის გზას,
ხელისშემშლელი ბევრი გვყავს,
მაგრამ დარაჯად ღმერთი გვყავს.

ვილოცოთ ყველამ უფალთან,
როდესაც დაბრკოლება გვაქვს,
ჩვენი ლოცვითა და რწმენით
ყოველთვის გამოვნახავთ გზას.

მძიმე დღე გვიდგას ქრისტიანთ,
გარშემო გვაკრავს ბოროტნი,
თუ მოვინდომებთ სიძნელით
გზას გავიკაფავთ გოლგოთის.

დაგლოცოთ სალოცავებმა,
ყველას გვყავს ჩვენი წმინდანი,
ჩვენგან განვდევნოთ ბოროტნი,
ვირჩიოთ სიკეთის გზანი.

ՑՐԱՅՐ!

Րա տաղանդարմթացո ხար, ցըշմո,
Ենուտ զեր գամոցտէցամ սատէմելս,
Սովորութ հեղափակուլու սցեպո,
Ախուրյաց սպառագուլու ազծեց.

Թիու սեսուուս լուսուցու ցըշենու,
Ատասուցու ազուր լուսու,
Համար նամակու բարձու ազուր ազուր,
Ցուրու ազուր գայուրու ազուր ազուր.

Տուրու ազուր սուր գուման ազուր,
Ռուր մարագան ազուր գուման ազուր,
Սասուր ազուր ազուր ազուր,
Կուրու ազուր ազուր ազուր ազուր.

Աս զու ճացեագու, ցըշմո,
Ռուր մեսագար սուր ազուր ազուր,
Գամոցայան ազուր ազուր,
Ցուրու ազուր ազուր ազուր.

Նան զու ցուր ազուր ազուր,
Ենամ րուր ազուր ազուր,
Բեր գացուր ազուր ազուր,
Ցուր ազուր ազուր ազուր.

ან რად არ ბერდები, გრემო,
დრო შენ ვერ გიხუნებს კალთებს,
რომ იდგე ფარად და რწმენად
და არ იშურებდე ნათელს.

რა თვალწარმტაცი ხარ, გრემო,
ენით ვერ გამოვთქვამ სათქმელს,
უფლით ხელდასმულო სვეტო,
ცხოვრებას უმკლავდები ავბედს.

ილია მეორეს..

ქართველთა სულის მოძღვარო,
მამაო, მიწად მყოფელო,
სიმშვიდის შარავანდედი,
თეთრ წვერად გმოსავს, მშობელო.

ღმერთმანი, ასე დიდია,
შენი სახელის ხსენება,
დიდხანს გვარგუნის უფალმა,
შენი სიწმიდის მშვენება.

ქართველთა სულის მოძღვარო,
სულში სანთელო,
მართალო...

0162 ფაჩისვანი

დიდება უფალს!

ვინ იცის, როდის შეგვიწყალებს უფალი ციდან,
დათარეშობენ სულში ცოდვის ქარტეხილები
და ობლად დარჩა სინანული, სულ ერთი ციდა,
გადაიღალა მაცხოვარიც ჩვენი მხილებით....

ყოველი სიტყვა, მართლით თქმულ არს ბაგეთა მისთა,
ჩვენ ულირსნი კი მისი ფეხის მტვერიც არა ვართ,
თბილია უფლის შეგონება, ვით სხივი მზისთა,
საწყალობელნი მონანულნი, მისი ფარა ვართ....

განკითხვის ჟამი ახლოვდება, დრო ითვლის წუთებს,
შემლილ სამყარომ სიყვარული გააკრა ჯვარზე,
დაბნეულ სულებს ანგელოზი რთულ ლამეს უთევს
და მიაცილებს უხმაუროდ გზის გასაყარზე...

ნათლილებას

დღეს შენი დღეა...

ანგელოზი გეხება ფრთხილად,
სულს საამებლად კვლავ შეარხევს ლოცვა ძლიერი.
შემოაბიჯებს უფლის მადლი... გაკურთხებს შვილად,
კვლავ განათდება ცის მაღალი დასალიერი...

მამის ნაცხები მირონი დუღს ემბაზის ფსკერზე,
ტაძარში გალობს იაგუნდი სერაბიმთები...
შემოჰვევია ჩვილის სუნთქვა მამაოს ხელზე
და იფანტება ლოცვის ფონზე ძველი მითები...

და „შევუდგებით ქრისტეს“! მთელი არსებით, რწმენით,
მე შენს სულს უნდა მივაგებო ლოცვა ფრთიანი.
უნდა იცხოვრო უფლის მადლით და დიდი თმენით,
განსაცდელის უამს უნდა დარჩე ადამიანი...

მე წარმავალი... შენს ცხოვრებაში ვპრუნდები ისევ,
გზანი უფლისა მოკვდავთათვის არს უხილავი.
ბედი დღეს ლამაზ სადარდებელს, საფიქრალს მიჩენს,
მირონცხებაა რწმენა უფლის დაუჩრდილავი...

ნეინდა ნინო

წმინდა ნინო უფლის დიდი
სიყვარულით აღიზარდა,
წილად ერგო რჩეულ იყო
უფლისგან და ღვთისმშობლისგან.
ამიტომაც მათგან რჩეულს
მას მძინარეს ხილვა ჰქონდა,
ღვთისმშობელი წასვლას სთხოვდა
ექადაგა უფლის სიტყვა.
სთხოვდა ნინოს წასულიყო
მის წილხვდომილ ქვეყანაში,
წარმართთათვის ემცნო უფლის,
უფლის სჯულის სიდიადე.
წმინდა ნინომ მოწინებით
მან შეჰკადრა თბილი სიტყვა,
მაშ, მომეცით მე ნიშანი,
აღვასრულო უფლის ნება.
ღვთისმშობელმა იქვე მდგარი
ვაზის რტოსგან შექმნა ჯვარი
და უბოძა წმინდა ნინოს
ეს იქნება ძალა შენი.
დილით როცა გაეღვიძა
ხელთ ეპყრა მას ვაზის ჯვარი,
საკუთარი თმებით შეკრა,
რადგან იგრძნო ძალა მათი.
როგორც სთხოვა ღვთისმშობელმა,
ჯავახეთის მთებით დიდით,

საქართველო გადმოლახა
უდიდესი რწმენით მისით.
ნმინდა ნინო უფლის დიდი
სიყვარულით აღიზარდა,
ღვთის მოშიში მოყვარული
საქართველოს ჩამოპრძანდა.
განსწავლულმა, მოწინებით
უფლის სჯული იქადაგა,
აქ ბნელეთი გაანათა
და დიდება ერს შეჰმატა.

ԹԱԺԱՌՈ

Եթովո մեմից լուտոնուս ზարո,
Կը դեղէլ նշանուն - Տօնականուն ծննդարո,
Տագլուս Տանտղեծուս Եղետրո Եանձարո,
Բնինդա Քամարո;
Ջուղեպյուղեծա ճա Տուսագազե,
Ամալլունունու Ռնմենուս Տագազե,
Մինուր Վրուգատ Թմոնծուս Տագազե,
Տյուլուս Տագանց;
Վուսա ճա Մինուս Ռյամազալո,
Մուժարուն Տյենուս Եուժի մազալո,
Մուսագազեծու Վրուգա Մրազալո
Ճա Եարմազալո;
Տարազանդեցու Ցիյեծր Մուլվարյ,
Մեսրազալու Ցուլու Ցիյելուադ Մլւլվարյ,
Ջեղգագրուկունու Մրազալու Մտրուռուլվարյ,
Մագլուս Մտուրարյ;
Տազերուդամեզեզու Տյունու Տակմեզալուս
Ճա Եղետրու Ցյույի Ցոնրու Տարկմելուս,
Տանաչուարու Լուցուտ Տատյմելուս
Ոնզուս Տանտղելու.

ქეთევან დედოფალს

შირაზს წარგზავნილი ლამაზი ტყვე,
გასხივოსნებული ანათებდი,
სჯული წამებით რომ ვერ დაგიგმეს,
ძლიერ გაგირისხდნენ ჯალათები.
მტერმა წამებისთვის გაგიმეტა,
მკერდი დაგიშანთეს მარწუხებმა,
მაგრამ იმ ტკივილზე უფრო მეტად
კდემა და სიშიშვლე გაწუხებდა.
ლოცვას სიკვდილის წინ აღავლენდი,
მიწა სანატრელი დაგეფაროს,
შენი მშობლიური აღავერდის
წმინდა ნათელი ხარ, დედოფალო!

დიდება შენდა

დიდება შენდა,
შენს სახელს წმინდას,
ან და მარადის, უფალო ჩემო,
რომ ეს სამყარო
შენ ჩვენთვის გინდა,
ცოდვილები ვართ
და მაინც გვჩემობ...

შეიქმენ პურად,
იქეცი ღვინოდ,
შენამდე გზაა
ციცაბო, ვიწრო...
პური ვარ მიწის -
ჩაშლილი ბელტი,
მეც გამოგადგე
რამეში ვინძლო.

დიდება შენდა,
შენს სახელს წმინდას,
ხარ უცოდველი
და ხარ უვალო,
გთხოვ, ღირს გამხადო
შენი სამოთხის,
განკაცებულო
ჩემო უფალო....

ჩემი მოძღვარი

ჩემი მოძღვარი, საუნჯე რწმენისა,
ჩემი დარდის და ტკივილის ცხრაკლიტული,
მუდამ გადაღლილი მზერით და თვალებით,
ლიმილი?! ო, ღმერთო, აი, სასწაული.

მუდამ მოზომილი, განსჯით და პასუხებით,
შრომით დასერილი ლამაზი მარჯვენა,
შავი ანაფორის ნაზი შარი-შურით,
ლვთაების კედლებში მალი-მალ გაკრთება,

მასწავლებელი ჩემი ცხოვრების,
ეკლიან გზებზე რწმენით იარება,
